ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიბონერი

1927 სახელგამი № 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წელს

თითოეულ ბავშს

უნდა ჰქონდეს

გამოწერილი

თავისი ჟურნალი

„პიონერი“

შინაარსი:

	გვ.
1. თავგანწირული მეზღვაური — ს. კასრაძის	2
2. ჯემალი — დ. ს.	7
3. ხუთი მდინარის სათავეში — ნ. კეცხოველის	15
4. რას ლაპარაკობს ს. ს. რ. კ-ს შესახებ ინგლისის ბავშთა დელეგაცია	19
5. პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება	20
6. რა უნდა წაიკითხოთ?	21
7. კინო სურათების გადაღება სარკის საშველებით.	22
8. ჰადრაკი	23

329.153(05)
3-47 - მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!
საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

პიონერი

1927
30 დეკემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური მიწოს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ყოველთვიური ბავშვისათვის

წელიწადი II
№ 24

ჩვენ ყველანი ვკითხულობთ „პიონერს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპირაღლი მეზღვაური

ახლა? [1])

ქალაქი შიმშილობდა.

ომიდან ბრუნდებოდენ ჯარისკაცები; ისინი გემებით ადგებოდენ პატარა ქალაქს და აქიდან მიდიოდენ თავის სახლებში. ყველა მათგანს გულზე წითელი ნიშანი ებნია და უხარიდათ, რომ მეფის მთავრობა დაინგრა.

აგაფონიც გემით მოვიდა.

აგაფონი უთვისტომო კაცი იყო, გაქართველებული, და სანაპირო ქალაქში ცოლი ჰყავდა.

მისი ცოლი სიხარულით სტიროდა. მეზობლები ულოცავდენ ნინოს ქმრის დაბრუნებას. აგაფონს ერთი დღეც არ დაუსვენია; მან მოსძებნა ძველი მეზღვაურები და კვლავ მეზღვაურობა მოისურვა; მაგრამ ძველი ამხანაგებიდან მარტო სეილა ნახა ქალაქში, დანარჩენები ვინ იცის სად იყვნენ. არც გამართული სანდლები ჩანდა.

ამიტომ აგაფონმა და სეილამ მოილაპარაკეს: მოდი ეს ძველი სანდალი აღვადგინოთ და მუშაობა გავაჩაღოთო.

გაჩაღდა მუშაობა; და, აი, კიდევ რამდენიმე დღე — და სანდალი მზად იყო.

მ უ შ ა ო ბ ა.

რიჟრაჟზე დგებოდა აგაფონი და პატარა გოგისაც აღვიძებდა:

— ადექ, ჰეი, ძილის გუდა! — ხუმრობით ამბობდა ის.

გოგი სწრაფად იცვამდა ტანს და სამუშაოდ მიდიოდა.

აგაფონთან ცხოვრობდა ჩვენი გოგი, ბავშს ძია აგაფონი და მოხუცი სეილა ძალიან შეუყვარდა; ხალისით მუშაობდა და მუშაობაში დაუღალავი და მარჯვე იყო.

როგორც ჩანს, აგაფონსა და სეილასაც უყვარდათ ბავში; მას მუშაობას არიდებდენ და ხან ერთი ურჩევდა დასვენებას, ხან მეორე. გოგი არ ისვენებდა.

ამ სიცხეში აწვდიდა ხელოსნებს ადუღებულ ფისს და შუბლზე ოფლი მოსდიოდა. ხელოსნები ღებავდენ სანდალს, სიამით უცქეროდენ გოგის გარჯას [2]) და გულის სიკეთით იღიმებოდენ.

შუადღეზე, როცა სადილობის დროა, აგაფონი და გოგი შინ მიდიოდენ. ნინო მათ ახვედრებდა ღარიბ კერძს, უალერსებდა გოგის და არიგებდა ბევრი მუშაობით არ დაღლილიყო.

— თორემ, — ეუბნებოდა ნინო, — აგაფონი გულქვაა, ხომ ხედავ, ბავშის და დიდის გარჩევა მან არ იცის.

ამ სიტყვებზე აგაფონი ულვაშებში ჩაიცინებდა და გოგის შეთქმულივით თვალს ჩაუკრავდა.

— —

აგაფონი გულის თრთოლვით ელოდა სანდლის დასრულებას.

გოგიც ელოდა.

გოგი გამოიცვალა; ამდენ ხანს თუ უსუფთოდ ეცვა მას, ახლა სუფთად ეცვა, ხელ-პირს მუდამ იბანდა და თანდათან დამშვენდა ბავში.

ეს ძველი სანდალიც გალამაზდა, სირაქლემასავით გამოიკვეთა და ზღვის პირად შემდგარს ისე მოეღერებია კისერი, თითქოს უნდა სეილასა და აგაფონს ხელიდან გაუსხლტეს და ცისკიდური გადალახოსო.

სანდალზე დასდგეს ანძები.

იალქნები მოიმარაგეს და ზედ ოცდასამძალიანი მანქანაც დადგეს.

„მზად არის"

ნაპირზე ხალხი მოგროვდა. მოვიდენ აღმასკომის წევრები და საგანგებო განყოფილების თანამშრომლები.

დაინახა თუ არა შორიდან მომავალი სტუმრები, აგაფონი მიეგება მათ და თავმჯდომარეს მიაძახა:

— მზად არის, მზად! —

აგაფონი სადღესასწაულოდ მორთულიყო. სანდალიც დროშებით მოერთოთ, ზღვაში ჩაეტანათ და ის, წასასვლელად გამზადებული, ოდნავ ქანაობდა ტალღებზე. სეილას მესაჭის ადგილი ეჭირა და სახე უცინოდა. გოგი ბანზე საქმიანობდა.

[1]) დასაწყისი იხ. „პიონერის" № 23.

[2]) გარჯა — მოუსვენარი შრომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგაფონმა სტუმრები აიყვანა ბანზე; ამუშავდა მანქანა, გაიშალა იალქნები და სანდალი მსუბუქად გაცურდა. ამ დროს ნაპირზე მდგომმა ხალხმა უნებურად დაიძახა:

— ვაშაა! —

რამდენიმე მოქალაქემ ქუდები მოიძრო და ჰაერში შეარხია. აგაფონმა ხალხს თვალი მოავლო და თითქო სიამოვნებამ დაათროო, რაღაც წაიდუდუნა და ჩაეშვა სანდლის სიღრმეში, იქ, სადაც მანქანის განყოფილებაა. იმ დღეს სანდალმა გასინჯა თვისი ძალ-ღონე, რამდენიმე ვერსი გასცურა ამ ზღვაში და უკანვე დაბრუნდა.

ამ დღიდან შეუდგა სანდალი მუშაობას.

პიონერ-კოლექტივის სამკითხველო.

ზღვა.

გოგი ნამდვილი მეზღვაურია.

როცა სანდალი მისცურავს, ბავში მანქანის განყოფილებაშია. იქ ოფლში გათხვრილი აგაფონი დასტრიალებს მანქანას. მანქანა დაუცხრომლად მუშაობს და მკვეთრ ხმებს გამოსცემს.

აგაფონი ასწავლის გოგის მანქანის მოპყრობას, და პატარა მეზღვაური გულმოდგინედ ისმენს და იმახსოვრებს.

ზღვა ღელავს; დაუსრულებელი ზვირთები ეხეთქება სანდალს, და სანდალი ქანაობს, მისცურავს სანდალი, ხოლო აქაფებული ზვითები ოხრავენ და მიემართებიან ნაპირისაკენ. ნაპირი კარგად ჩანს სანდლიდან. ნაპირს აცხრება ვეებერთელა ზვირთები, რომელნიც ღმუილითა და ზარით აშფოთებენ მას.

ამ დროს გოგის უყვარს ბანზე დგომა. სანახაობით აღტაცებული ბავში თვალს ავლებს ზღვას და სუნთქვა უხშირდება.

— რაო, მეზღვაურო, კარგი რამეა? — ეკითხება მას მოხუცი სეილა. გოგი თანხმობის ნიშნად თავს აქნევს და ისევ დგას ბანზე. მართლა კარგია ზღვა, ზღვა თვალუწვდენელი და მბორგავი! რამდენჯერაც გინდა ნახო იგი, იმდენჯერ გამოცვლილსა და უფრო უკეთესს ნახავ.

და რასაც ნახავ დღეს, იგი არა ჰგავს გუშინდელს, ხოლო ხვალინდელი, ვინ იცის, როგორი იქნება?

ჯერ ცა — ვრცელი და უსაზღვრო, რომელიც ირგვლივ არტყია დედამიწას, ხშირად იკარგება ზღვაში და არის შემთხვევა ისეთიც, როცა კარგად ჩანს ცის დასავალი[1]), ხოლო ზღვა მოჩანს ცის იქით, შორს, სადაც გულზვიადად[2]) ისვრის ტალღებს. ამაზე ამბობენ მეზღვაურები:

— ხედავ, ზღვას არ ჰყოფნის ცა! —

და განა მარტო ტალღები?

მცურავ სანდალს მიჰყვება თეთრი ფრინველების გუნდი; თეთრი ფრინველები თოლიებია. და ისინი ჰყივიან, უხმობენ ერთიმეორეს და დაღლილნი ეშვებიან ზღვაზე; მათ ტალღები აქანავებს მაშინ. თოლიები ჰკორტნიან ტალღების დუჟს[3]).

სანდალს მიჰყვებიან აგრეთვე ზღვის ღორები; შავსა და გამჭვირვალე ტალღების სიღრმეში ისინი ისე მოჩანან, როგორც სარკეში. ზღვის ღორები გაოცებულნი მისდევენ სანდალს, მის დევნაში ირევიან ერთმანეთში და სასაცილო ოინებს აკეთებენ. გოგი იცინის; გოგი გატაცებით უცქერის ზღვის სანახაობებს და შემდეგ, შინ დაბრუნებული, ყველაფერს უყვება თავის დედობილ ნინოს.

[1]) ცის დასავალი — ცისკიდური.
[2]) გულზვიადად — ამაყად.
[3]) დუჟი — ქაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოემზადეთ!“

სეილა დიდი ხანია წავიდა; სანდალზე საქმე არაფერი იყო და აგაფონი იჯდა ბანზე და გარმონს უკრავდა. გოგი ისმენდა. ისინი ელოდენ სეილას. ზაფხული ილეოდა, არ ცხელოდა, გრილი ქარი ჰქროდა და ნაპირზე იდგა ჰავა ცივი და მლაშე. აჰა, სადაცაა გავიდოდა ზაფხული, ჩვენი გოგი სანდალს თავს დაანებებდა და სწავლას შეუდგებოდა. მაგრამ ახლა გოგი და აგაფონი ელოდენ სეილას. სეილა შორიდან გამოჩნდა. ის ჩქარი ნაბიჯით მოვიდა და და მეზღვაურებს დაუძახა:

— მოემზადეთ!—

აკაფონმა ღუზა [1]) ამოიღო ზღვიდან და მანქანა აამუშავა. სეილამ საქე გასინჯა და სანდალს მიმართულება მისცა.

— საით?—მოკლედ ჰკითხა სეილას აგაფონმა. სეილამ დაასახელა ერთი სანაპირო ქალაქი, რომელიც აქედან სამოციოდე ვერსის მანძილზე იყო, თან დაუმატა:

— ძალიან უნდა ვიჩქაროთ და ხვალ აქ ვიყოთ.

ამის შემდეგ საუბარი შესწყდა. სანდალი გავიდა ზღვაში. მშვიდობიანად მიახწიეს მეზობელ სანაპირო ქალაქს; იქ სეილამ მთავრობას ქაღალდები წარუდგინა, ფქვილი მიიღო და სანდალი დატვირთა.

ბუნებისმეტყველების კუთხე კოლექტივში.

როცა წამოსვლას აპირებდენ, მეზღვაურებთან მოვიდენ ერთი ბავშიანი დედაკაცი და გოგის ნაცნობი მამაკაცი. მათ ქალაქში წასვლა უნდოდათ; ისინი ემუდარებოდენ სეილას და აგაფონს:

— წაგვიყვენეთო!—და მეზღვაურებმა ისინიც ჩაისვეს სანდალში.

ღამე.

ღიდხანს მისცურავდა სანდალი. მეზღვაურები დაქანცა უძილობამ და ჯაფამ, მაგრამ დასვენებაზე არავინ ფიქრობდა. აგაფონი მანქანის განყოფილებაში იდგა და ბორბლების მუშაობას ყურს უგდებდა. სეილა საქეს მართავდა. არავინ საუბრობდა. ბავშვიანი დედაკაცი და მამაკაცი უხმოდ ისხდენ ბანზე და სიცივისაგან ბეჭებში მოხრილიყვნენ.

გოგი სეილას ეხმარებოდა. ამდენ ხანს ბავში აგაფონთან იყო და თხოვდა:

— ბიძია აგაფონ, შენ ცოტაოდენი დაისვენე და მანქანას მე მოვუვლიო, მაგრამ აგაფონმა მხოლოდ გაიცინა და პატარა მეზღვაური სეილასთან გაისტუმრა. სეილა ჩიბუხს ეწეოდა.

სუსხი სიო მოუსვენრად ჰქროდა და ჩიბუხის ბოლს იტაცებდა. დიდი ხანია დალამდა. მძიმე ცა თითქოს დაბლა ჩამოვიდა, და ცაზე არ ჩანდა არც მთვარე და არც ერთი ვარსკვლავი; მიუხედავად ამისა, ზღვაზე მაინც იდგა მკრთალი ნათელი და ამ ნათელში გაირჩეოდა ნაპირი.

ნაპირი, მართალია, შორს იყო, მაგრამ ახლო მოჩანდა და ისმოდა ზათქი [2]) ზვირთებისა, რომელნიც ეხეთქებოდენ ნაპირს.

სეილა მოუსვენარი იყო; მას უნებურად შეჰქმუხვნოდა წარბები და მჭრელ თვალს ავლებდა ცისკიდურს; მან ერთხელ კიდევ ახედა ცას, მერე ცისკიდურს გაუსწორა თვალი და უკმაყოფილოდ სთქვა:

— ზღვა წახდა!

უეცრად გრგვინვით ამოვარდა ქარი და სანდალი მარჯვნივ გადახარა. ქარზე დიდი ზვირთები აგორდენ; სანდალი საბრალოდ ირწეოდა და ზვირთების შხეფი ესხმებოდა ბანს. ეს იყო სანდლისათვის სახიფათო ქარი, რასაც მეზღვაურები გემტეხიას უწოდებენ.

ისეთი ხმაური იდგა ირგვლივ, რომ არავის გაუგონია დედაკაცის კივილი; დედაკაცის ბავშვმაც გამოიღვიძა და თავზარდაცემული ჰყვიროდა.

მოხუც სეილას სახე გაუქვავდა. ის იდგა მდუმარე და ღონიერი ხელით მართავდა საქეს. მან იცოდა, რას შვრებოდა; ქალაქამდე არ იყო შორი მანძილი და ცდილობდა ისე ეცურებია სანდალი, რომ ზვირთებს არ ჩაეგდოთ ხელი და არ გადაებრუნებიათ.

[1]) ღუზა—გემის კავი.

[2]) ზათქი—დიდი ხმაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერები სწავლობენ გაზების საწინააღმდეგო ნიღაბების მოხმარვის წესებს.

ხიფათი.

სეილა ძველი მეზღვაური იყო და დიდი გამოცდილება ჰქონდა. ბევრჯერ ჩავარდნილა ის ხიფათში, მაგრამ აჰა, დაბერდა და ჯერ ცოცხალია. ახლაც გასაჭირი ადგა, მაგრამ მოხუცი სულის სიმშვიდეს არ ჰკარგავდა და ხიფათს გულგრილად უცქეროდა. ეს ჩვენი გოგიც ყოჩაღი ბიჭი გამოდგა. სეილამ ის ქვევით ჩაჰგზავნა აგაფონის მისაშველებლად, მაგრამ აგაფონმა გოგის უთხრა:

—მაღლა ადი, სეილას მიეშველეო!—

აგაფონი მხნედ მუშაობდა და ბავში მაღლა ამოვიდა.

სეილამ სანდალს სასურველი მიმართულება მისცა და გამარჯვების იმედიც მიეცათ. რა თქმა უნდა, მოხუც მესაჭეს სანდალიც ადარდებდა, თვისი მეზღვაურებიც და მგზავრებიც.

ახლა კი საქმე კარგად იყო.

ზღვა ისევ ბორგავდა განრისხებული და უწყალოდ არწევდა სანდალს, მაგრამ ღამეში შორიდან გამოჩნდა ქალაქის ნავსადგური; გამოჩნდა შუქურას სინათლე და განათებული შენობები.

მიშველეთ!

გოგი სოველი იყო, როგორც სხვები. ბავში არ შეშინებულა; მას დიდი იმედი ჰქონდა გამოცდილი ნაოსნების და, როგორც ჩანს, იმედი გაუმართლდა.

გოგიმ რა დაინახა შუქურას სინათლე, დედაკაცთან მიირბინა და გაამხნევა: დედი, ნუ გეშინია, ნუ! ჩასძახა ყურში დედაკაცს.

უეცრად, ზვირთების ხმაურში, სანდლის სიღრმიდან მოისმა სასოწარკვეთილი ყვირილი:—მიშველეთ!—და მანქანის განყოფილებაში რაღაც გრგვინვით გასკდა; ამავე დროს სანდლის ბანი უცნაურად განათდა და მანქანის განყოფილებიდან ცეცხლი ამოვარდა.

სეილასა და გოგის თავზარი დაეცათ.

იძახოდა აგაფონი, რომელმაც მხოლოდ ერთხელ დაიყვირა მიშველეთო და შემდეგ ხმა არ ამოუღია.

სეილა გონს ვერ მოსულიყო, რომ ბავში ადგილიდან დაიძრა და თავგანწირვით ჩაეშვა ქვევით, მანქანის განყოფილებაში; მგონი თან დაუძახა მოხუც მესაჭეს:—ბიძია, საჭეს სული არ გაუშვა!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი ჩაეშვა კიბით და ცეცხლში დაიკარგა.

ბავშს პირველად სული შეეხუთა. მანქანის განყოფილებაში კვამლი იდგა და კვამლში ცეცხლი ირეოდა. ბავშმა რაღაცას წამოსდო ფეხი და კინაღამ წაიქცა. შემდეგ კუთხეში შენიშნა რკინის კასრი, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა. უეცრად ბავშს მოაგონდა, რომ აქვე დიდი მუშამბა[1]) ინახება. გოგიმ ხელები მოჰხვია მუშამბას, დიდის წვალებით გაშალა და ცეცხმოდებულ კასრს შემოახვია.

პატარა გოგის ეწვის ხელები; ტანზე ცეცხლი ეკიდება, თავბრუ ესხმის, მაგრამ მუშამბას ხელს არ უშვებს და თავდაუზოგავად ახვევს კასრს. ყველაფერი ეს მოხდა უეცრად, ხოლო შემდეგ რაც მოხდა, გოგის არ ახსოვს. ეს კი უდავოა, რომ ცეცხლი ჩაქრა, მანქანის განყოფილება კვამლით აივსო და კიბეზე ვიღაც ჩამორბოდა.

რითი თავდება ეს ამბავი?

სანდალი გადარჩა.

აგაფონიც გადარჩა. მას დასწვოდა ტანისამოსი, დასწვოდა წვერ-ულვაში და დაშავებული საავადმყოფოში იწვა.

მის გვერდით იწვა თავგანწირული მეზღვაური, პატარა გოგი. ის უგრძნობლად მოიყვანეს საავადმყოფოში, და ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ; მაგრამ გუშინ გოგიმ თვალები გაახილა და საჭმელი მოითხოვა.

გოგის სანახავად მოვიდენ აღმასკომის თავმჯდომარე და წევრები; ისინი სიყვარულით უცქეროდენ გოგის, ხოლო როცა მიდიოდენ, თავმჯდომარემ სთქვა:

—რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ამ ბავშს ჩვენ საათანადოდ აღვზრდით!—

—ეხ, ჩემო გოგი, ჩემო ძვირფასო! მე შენ გადამარჩინე, მაგრამ კინაღამ თვითონ დაიღუპე!—ამბობს აგაფონი.

ჰო, ეს ყველამ იცის, რომ გოგიმ დაღუპვას გადაარჩინა აგაფონი. თუმცა, არათუ მარტო აგაფონი, სანდალიც გადაარჩინა გოგიმ და ყველა ისინი, ვინც სანდალზე იყვნენ.

ეს ამასწინათ აღმასკომის თავმჯდომარეს განუცხადა სეილამ და თანაც დასძინა:

—ამ ბავშის გამბედაობა მე არასოდეს არ დამავიწყდება!

შეიძლება ამ დღეებში გოგი საავადმყოფოდან გამოსწერონ; ეს გოგისთვის კარგი იქნება, რადგან მალე, სულ მალე სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება.

სტეფანე კასრაძე.

[1]) მუშამბა—სქელი და მჭიდრო ტილო.



პიონერების მიერ გაკეთებული გემის მოდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალი პატარა ყირგიზია. ის დაიბადა და აღიზარდა ორენბურგის გუბერნიაში, ფართო ველებზე მომთაბარე ყირგიზთა შორის.

მისი სამშობლო სოფელია კუერდაკინო, რომელიც, როგორც ყირგიზთა ყველა სოფელი, გაშენებულია მდინარე ილეკის (მდ. ურალის შენაკადია) მარცხენა მხარეზე. მარჯვენა მხარე კი დასახლებულია მდიდარი ყაზახებით, რომლებმაც ერთ დროს ბრძოლით დაიპყრეს ყირგიზთა სამფლობელო და ამწვანებულ ველ-მინდვრებზე თავისი სოფლები გააშენეს.

წინათ მდ. ილეკის ორივე მხარე მხოლოდ ყირგიზების საკუთრება იყო, სადაც თავისუფლების მოყვარული ყირგიზები თვისი დიდი ნახირებით უშიშრად მომთაბარობდენ; მაგრამ როცა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხობისთვის მეფის მთავრობას დასჭირდა მიწა, მან ყაზახებს უბრძანა ძალით დაეპყროთ ყირგიზების სამფლობელო.

ყირგიზების დამორჩილება არც ისე ადვილი საქმე იყო. მრავალი წლების განმავლობაში იბრძოდენ ისინი გაშმაგებით, მაგრამ ყაზახთა ძლიერებამ საბოლოოდ წელში გასტეხა გულადი ყირგიზები.

დამარცხებულთა შეურიგებელი ნაწილი ყაზახთათვის მიუწვდომელ ველებს შეეფარა, სადაც დაარსეს ეგრეთწოდებული ყირგიზთა „შორი ურდო“, ნაწილი ყირგიზების კი დარჩა ადგილობრივ, მდინარე ილეკის მარცხენა მხარეზე. ყირგიზების ამ მოსახლეობას ყირგიზთა „ახლო ურდო“ ეწოდებოდა.

„შორურდოელი“ ყირგიზები ეწეოდენ მხოლოდ მესაქონლეობას და ყაზახებს ზიზღით გაურბოდენ.

„ახლოურდოელებმა“ კი მესაქონლეობასთან ერთად ხელი მიჰყვეს მიწის მუშაობასაც, რაც მათ ყაზახებისაგან ჩქარა შეისწავლეს.

„ახლოურდოელებს“ ყაზახებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ბაიგუშები (ანუ ღარიბი ყირგიზები) ყაზახთა მეზობელ სოფლებში მოჯამაგირეებად, უფრო კი მენახირეებად, დგებოდენ მდიდარ ყაზახებთან.

ჯემალის მშობლებს, ატაის (მამა) და ანას (დედა), ვერც კი წარმოედგინათ, რომ მათ ერთადერთ საყვარელ შვილს ოდესმე ყაზახებთან მენახირეობა მოუხდებოდა.

რვა წლის ასკამდე ჯემალი ცხოვრობდა თავის სამშობლო სოფელში ლაღად და ბედნიერად.

იგი რკინასავით შავი, ახალგაზრდა თელასავით მკვრივი და ციყვივით ცელქი და მოუსვენარი იყო. სქელი განიერი ბაგეებიდან მას გამოუკრთოდა რძესავით თეთრი, ლამაზად ჩამწკრივებული ჯანსაღი კბილები; ყვრიმალის ფართო ძვლებსა და პაჭუა ცხვირს კი წყვილი ნახშირივით შავი, მკვირცხლი და წაელამო თვალები უმშვენებდა. ჯემალი ჯერ პატარა იყო, მაგრამ მას უკვე იცნობდენ, როგორც ისრის კარგ მსროლელს და შეუდარებელ მხედარს.

მთის ახალგაზრდა შევარდენივით სწრაფი, შორსმჭვრეტელი ჯემალი მუდამ გაურბოდა ხალხს, განსაკუთრებით კი ერიდებოდა ყაზახებს.

ყაზახები ხომ ისედაც დაბეჩავებულ ყირგიზებს ყოველთვის ამცირებდენ და ჯემალს არა ერთხელ სმენია მათი უდიერი ლანძღვა:

— ოო, შე ძაღლო, შე ძაღლის ლეკვო, შენა! — ამ სიტყვებით ისინი ხშირად მიმართავდენ ხოლმე ჯემალსა და ჯემალის მშობლებს. ეს იყო მიზეზი, რომ თავმოყვარე პატარა ყირგიზი ყაზახებთან შეხვედრას მუდამ გაურბოდა.

ყირგიზის ოჯახში სტუმრად მოსული ყაზახი ლაღია და კადნიერი; იგი სრული ბატონ-პატრონია ყირგიზის ოჯახისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ყირგიზები ყაზახთან რაიმე საქმეზე მიდიან, ისინი მორცხვად ჩამწკრივდებიან კარის ზღურბლთან, საქმის მოგვარებამდე მთელი საათობით სხედან სულგანაბულნი, საბურნუთე გრძელი ყანწებიდან ყნოსავენ ბურნუთს და კვამლით გაჭვარტლული კბილებიდან თამბაქოს წვრილად აპურჭყებენ.

პატარა ჯემალი ხედავს ყირგიზების დაბეჩავებას და გული ტკივილებით ეკუმშება. უქმე დღეებში ყაზახთა სოფლებში ხშირად დაჰყავდა მამას ჯემალი, მაგრამ იქ ჯემალი ყოველთვის ჯიუტად სდუმდა და გულმოსული შუბლ ქვეშ იმზირებოდა.

— აი, შე მგლის ლეკვო!.. ენა რამ ჩაგიგდო! ელაზღანდარება მოხუცი ყაზახი გაყუმებულ ჯემალს; ყაზახი, რასაკვირველია, ვერ ამჩნევს, თუ როგორ ემძიმება ამ სიტყვების მოსმენა პატარა ყირგიზს, რომელიც მამას მკერდზე მაგრად ეხუტება, ხელში მათრახს გულმოსული ატრიალებს და განიერ, გრძელწამწამებიან უპეებში ბრაზმორეული თვალები ნაკვერცხლებივით ანთებია.

— ჯამან ურუსა (ე. ი. ცუდი რუსი), — ბუტ-ბუტებს თავისთვის პატარა ჯემალი და შინისაკენ გარბის. იქ გულნატკენ ჯემალს ალერსიანად დახვდება კეთილი დედა, რომელიც მას კუმისით (ცხენის რძეა) და ნაცარში გამომცხვარი კვერით გაუმასპინძლდება; იქ მას დახვდება საყვარელი ძაღლი ყარაშა და აჟრიამულებული პატარა ყირგიზები.

თავის მწვანე ქვეყანაში ველ-მინდორთა ბედუერებივით დაჰქრიან პატარა ყირგიზები. ისინი მზის ამოსვლისას სტოვებენ თავის ხარგებს (ქეჩით გადახურული კარავია, შუაში ხის ბოძით) და შინ ბრუნდებიან მხოლოდ მაშინ, როცა მზე ცის დასავალში წყნარად ჩაეშვება და გადაბინდულ ველებზე სალამოს გრილი ნიავი დაუბერავს.

ყოველ დილას ჯემალის ხარგასთან შოშიებივით დუანან პატარა ყირგიზები. მათ აღტაცებით უერთდება ჯემალიც და, ცოტა ხნის მსჯელობის შემდეგ, შოშიების შავი გუნდი მიჰქრის არჩეული მინდვრებისაკენ, რომ იქ მოაგროვოს გარეული ხილი: ძირტკბილა და სხვა ტკბილი სანუკვარი, რითაც ძლიერ მდიდარია კუერდაკინოს მიდამოები.

იქ ბალახი ისე სქელია და მაღალი, რომ შიგ ცხენოსანიც ადვილად დაიმალება.

მიუახლოვდებიან თუ არა ამ გაუვალ მინდვრებს, სქელ ბალახებში უკვალოდ ქრებიან პატარა ყირგიზები.

სურნელოვანი და ლამაზი ყვავილებით სავსეა ეს მინდორი. აქ სირბილი ძლიერ უყვარსთ ყირგიზის ბავშებს და როცა ისინი მზისგან დამწვარი პატარა ხელებით ყვავილებსა ჰკრეფენ, მათი თვალები გაბრწყინებულია გამოუთქმელი ნეტარებით.

მაგრამ, აი, მზე ცის უფსკრულში ნელ ნელა აეშვა, მინდვრებში ჩამოცხა, და შოშიების შავი გუნდი მიჰქრის მდ. ილეკის დაბლობებისაკენ.

იქ ადვილად შეიძლება დაემალო გავარვარებული მზის მცხუნვარებას. მდინარის ახლო მიდამოები დაფარულია აქოჩრილი ტირიფებით, დაგრეხილი თელის ხეებით, ამწვანებული თხმელებით და აცახცახებულფოთლებიანი ვერხვებით; აქ ძრავლადაა ლამაზად გადაშლილი გვიმრა, ოდნავსურნელოვანი კბენია ასკილი, მშუშხავი ჯინჭარი და სხვა მცენარეები.

სუროთი, ხავსით და გარეული სვიით დაბურდული ხეები ერთმანეთში ისე მჭიდროდ არიან გადახლართული, რომ აქ გავლა მეტად ძნელი საქმეა.

ერთხელ აქ ჯემალმა შიშველი ხელებით დაიჭირა ახალგაზრდა შევარდენი, რომელსაც ჩიტის ბარტყებით პირის ჩაგემრიელება მოსურვებოდა, მაგრამ ეკლის ბურდებში გაბმულიყო და ბედნიერ ჯემალს ცოცხლად ჩაუვარდა ხელში.

მაგრამ პატარა ყირგიზები ამ გაუვალ ტყეშიც თავისუფლად დანავარდობენ ისინი ეკლით სხეულდაკაწრულნი და ჯინჭრით დაშუშხულნი დაეძებენ ჩიტის ბუდეებს, სადაც ბლომად ნახულობენ მწვანე ან ქარვისფერ კვერცხებს და იჭერენ ტიტველ ბარტყებს, რაც მათთვის საოცნებო საჭმელს წარმოადგენს.

მაგრამ მათ მოსწყინდათ ტყეში ხეტიალიც.

— ილეკ აიდა... (წავიდეთ ილეკზე) — უცებ წამოიძახებს ჯემალი და ყირგიზის ბავშები ყიჟინით გარბიან მშვენიერი მდინარისაკენ. ისინი ილეკის ქაფიან გრილ მორევებში ხტებიან გატიტვლებულნი და ზღვის პატარა ღორებივით დიდხანს ჩქაფუნობენ.

მერე, როცა ცურვით მოიქანცებიან, წყლიდან ჟივილ-ხივილით ამორბიან და იქვე ცხელ ქვიშაზე დათვის ბელებივით დაგორავდენ.

მთელი დღის განმავლობაში ასე ცელქობენ პატარა ყირგიზები და სალამოს ჟამს, როცა ველ მინდვრებზე გაჩნდება ბინდი, ამდენი ბრძოლით მოქანცული ჯარი ბრუნდება ისევ სოფლად; იქ მათ დაუხვდებიან ალერსიანი მშობლები, სქელბალნიანი ძაღლები, რქადაგრეხილი ვერძები, კოზაკები, კვიცები და გემრიელი ვახშამი.

ნავახშმევს კი თივის ბულულში ჩაწოლილნი ტკბილად ჩაიძინებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე თავისუფლად და ლაღად იზრდებოდა პატარა ჯემალი.

მან ჯერ კარგად სიარულიც არ იცოდა, რომ მამა ცხენზე ჯდომას ასწავლიდა. ჯემალს მამა შეასკუპებდა ხოლმე ცხენზე, რომ არ გადმოვარდნილიყო, მკლავში მაგრად ხელს ჩაჰკიდებდა და ფართო ეზოში აქეთ-იქით დააქროლებდა.

შვიდი წლის ჯემალი უკვე ნამდვილი მოჯირითე იყო. ჯემალმა იცოდა აქლემზე ჯდომაც.

როცა სოფელში სანაძლეოდ დოლს გამართავდენ, ჯემალი ყოველთვის ბრწყინვალედ იმარჯვებდა—მისი ცხენი უძლეველი იყო.

გამარჯვების ნიშნად მას მკლავზე მოაბამდენ ხოლმე წითელ ცხვირსახოცს და თავმომწონე ჯემალი საჯირითო ველზე კიდევ დიდხანს დაათამაშებდა თავის მერანს, რომ ამით გაეხარებია მაყურებელი მშობლების გული.

ჯემალი კარგი მენახირეც იყო და სხვადასხვა სამუშაოზე ხშირად ეხმარებოდა მშობლებს.

მაგრამ უეცრად დაუქროლა ავზნიანმა გრიგალმა და ჯემალის კეთილი ცხოვრება მოულოდნელად გააპარტახა: ჟამმა ერთი წლის განმავლობაში მოუკლა ჯერ დედა და მერე მამა. დარჩა ობლად ცხრა წლის ჯემალი. მამისაგან დატოვებული ქონება ჯემალს მოხერხებულად წაართვა ცბიერმა ბიძამ. უსახლკარო, გაღატაკებული ჯემალი ილეკის მარჯვენა მხარეზე გადავიდა და ყაზახთა სოფელში, როგორც ბაიგუში, მენახირედ დადგა.

* *

ყაზახი, ვისთანაც ჯემალი მსახურობდა, მეტად უხეში და მკაცრი ადამიანი იყო.

— ეეხ, ამას ხომ ცხოვრება არ ჰქვიან!—ხშირად ამოიოხრებდა ხოლმე პატარა ჯემალი.

— რატომ ვარ მე ბაიგუში? რად მექცევიან ასე აგდებულად? დილიდან საღამომდე მათ ნახირს ვმწყემსავ, ყველას ერთგულად ვემსახურები, ისინი კი, ის ლიპიანი ყაზახები, მგლის ლეკვს მიწოდებენ.

აგონდება მას თავისი ბავშობა, სოფელი კუერ დაკინო, ყირგიზ ძმაბიჭებთან ერთად ველებზე ნავარდი, ტირიფის ჩრდილებით გადაბარდნილ სუფთა ილეკში ბანაობა, კეთილი მშობლების ალერსი, თბილი საწოლი, ახლა კი... ახლა ის ბაიგუშია, აბუჩად აგდებული მენახირე, ღამეებს ცივ, ნესტიან მიწურში ათევს.

ერთ მზიან დილას სოფელში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ამბობდენ, შორ მინდვრებზე წითლების ცხენოსნები გამოჩნდენ, რომელნიც ჩვენი სოფლებისაკენ მოეშურებიანო. მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ სოფელში წითლების რაზმი შემოვიდა.

ახალგაზრდა ყაზახები სიხარულით შეხვდენ წითლების მოსვლას, მოხუცები კი ძლიერ ბრაზდებოდენ და „კომუნისტ“ შვილებს „სამემკვიდრო მიწის“ წართმევას ემუქრებოდენ.

წითლებმა შუა სოფელში სათემო მოედანზე კარვები გააკეთეს და შიგ დაბანაკდენ.

ჯემალმა არ იცოდა, ვინ იყვნენ წითლები, მაგრამ მთელი მისი პატარა არსება რატომღაც მათკენ მიისწრაფოდა.

ერთხელ დილით, როცა ჯემალი სოფლიდან საბალახოდ ცხვარს მიდენიდა და წითლების ბანაკს გაუსწორდა, მას უცებ შემოესმა:

— ჰეი, ბიჭუნი, მოდი აქ...



მთიელთა საბავშო სახლის პიონერები (ტფილისი). კედელზე მოსჩანს სურათი, რომელიც დახატეს თვით პიონერებმა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად.

ჯემალი მოტრიალდა. კარვების წინ შეგროვილ წითელრაზმელებთან იდგა ერთი მაღალი ტანის სამხედრო პირი, მას კეთილი თვალებით უყურებდა.

ჯემალი მივიდა.

— შენ რა გქვიან?—წყნარი ხმით შეეკითხა სამხედრო პირი და მხარზე ხელი დაადო.

— ჯემალი,—მორცხვად უპასუხა ჯემალმა.

— მშობლები გყავს?

— არა,— ნაღვლიანად აღმოხდა ჯემალს,— მე ობოლი ვარ, ბაიგუში, აქ მენახირედ ვმსახურობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭუნი, მალე შენს წამებას ბოლო მოელება, გული არ გაგიტყდეს, — უთხრა მას სამხედრო პირმა და ალერსიანად თმებზე ხელი გადუსვა.

ჯემალმა თავი ჩაღუნა.

— ბიჭუნი, შენ გცივა, არა? — უცებ შეეკითხა მეთაური ჯემალს. რომელსაც დაფლეთილი ტანისამოსიდან შიშველი სხეული მოუჩანდა და სიცივისაკან მთლად ცახცახებდა.

ჯემალს შერცხვა, ვერაფერი უპასუხა.

— ამხანაგო, ამ ბავშს ჩვენი საწყობიდან ერთი თბილი თექა გამოუტანე, — მიმართა მეთაურმა იქვე მდგომ წითელარმიელს.

სიხარულით ათრთოლებულმა ჯემალმა კეთილ მეთაურს მადლობით აღსავსე თვალებით შეხედა და კრძალვით შეეკითხა:

მთიელთა საბავშო სახლის პიონერები ხატვის გაკვეთილზე.

— თქვენ აქედან მალე წახვალთ?

— სამი დღის შემდეგ, — უპასუხა მეთაურმა.

— მეც წამიყვანეთ... მეც ვიბრძოლებ... მე თქვენთან მინდა... ძლივს გასაგონი ხმით ლუღლუღებდა პატარა ჯემალი.

— არა, ბიჭუნი, ჯერ შენ პატარა ხარ. მაგრამ აქ მეთაური უცებ შეჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, და მერე განაგრძო: — არ ვიცი, ვნახოთ, შეიძლება კიდეც წაგიყვანოთ.

წითელარმიელმა ჯემალს თექა გამოუტანა.

ცოტა ხნის შემდეგ ჯემალს ეცვა მატყლის სქელი თექა, სოფლის შარაზე გაფენილ ცხვრის ფარას მიერეკებოდა და ყირგიზულ ენაზე მხიარულად ღიღინებდა.

* * *

მოსაღამოვდა. დასავლეთიდან გრილმა ნიავმა დაუბერა და ლურჯ, ხავერდოვან ცაზე ვარსკვლავები ამოციმციმდენ. აქამდე მზის სხივებით ალაპლაპებულ მდინარე ილეკს სქელი, ნაცრისფერი ნისლები გადაეფარა და ყაზახთა შორი სოფლები სიბნელემ შთანთქა.

— ყარაშა, ჰა, ყარაშა, — გასძახა ჯემალმა ერთგულ მეგობარს, რომელიც იქვე კორტოხზე გაწოლილიყო, მსხვილ, ბანჯგვლიან თათებში თავი ჩაეყო და ველზე ღრუბელივით გაფენილ ცხვრის ფარას დაყურსული უთვალთვალებდა.

ყარაშა წამოდგა, რამოდენიმეჯერ ტკბილად გაეზმორა და ჯემალისაკენ წკმუტუნით გამოექანა.

— ხედავ, ყარაშ? დაგვაღამდა. დროა წავიდეთ, არა? — ალერსიანად ეუბნება მას ჯემალი და გველივით დაკლაკნილ მათრახს ჰაერში ატლაშუნებს.

ყარაშამ პასუხად ერთი ბოხი ხმით შეყეფა, გაფანტულ ცხვარს თავი დაურბინა.

— ჰაი გიდი, ყარაშ, ყოჩაღ, ყარაშა, — გასძახის ყარაშას ჯემალი და ველიდან დაძრულ ცხვრის ფარას წინ მიუძღვება.

— „არა, წითლები უთუოდ კარგი ხალხია, ისინიც ნამდვილად ბაიგუშები არიან და ამიტომ ებრძვიან მდიდარ ყაზახებს... ეეხ... მეც რომ იმ წითელ რაზმში ჩამწერდენ! მე ხომ გულადი ყირგიზი ვარ, მეც ხომ ვიბრძოლებდი! — ფიქრობს თავისთვის ჯემალი და ღამის მკრთალ სიბნელეში წყნარად მიაბიჯებს. ჯემალს თვალწინ ეხატება თოფისა და ზარბაზნების კვამლით გადაბურული მინდორი, თვითონ, როგორც წითელრაზმელი, შავ ცხენზე ზის, ცალ ხელში ამოღებული ხმალი უჭირავს და მეორეში ცხენის სადავე. თხრილებში ჩასაფრული წითლები იბრძვიან. მტრის შორეულ ბანაკებში გამოჩანს ხანძარი და ცაზე ავარდნილი ცეცხლის ალი ცისარტყელასავით გადაგრაგნილა. აი, ჯემალმა უცებ თვალი მოჰკრა თეთრების ცხენოსნებს. ისინი ელვის სისწრაფით მოეშურებიან წითლებისაკენ. გულადმა ჯემალმა ხმალი მოიმარჯვა, ხედავს ჯემალი, რომ თეთრები თანდათან უახლოვდებიან... ამხანაგებს აღარ დაუცადა. წელში გაიმართა, მკერდი წინ წამოსწია, აჭიხვინებული ცხენით უცებ ადგილიდან მოწყდა და მოსეულ მტრებს შეუტია... ირგვლივ კი ისევ სროლაა. თეთრები იბრძვიან გაოფთრებულნი, მაგრამ ჯემალი მხნე და უძლეველია. იგი ხმლის ერთი მოქნევით შუაზე ჰკვეთს გულად მეომრებს. თეთრებმა ველარ გაუძლეს ჯემა-

ლის იერიშებს.. დაფრთხენ... გაიქცენ... ამ დროს უკან ჯემალის მოსაშველებლად წამოსული წითელი მხედრებიც გამოჩნდენ, მაგრამ ჯემალს აღარ სჭირდება დახმარება, მან ერთმა უკუაქცია თეთრების უძლეველი მხედრობა.

გაოცებული, სიხარულისაგან აცრემლებული მეთაური ჯემალს გულში იკრავს და ეკითხება, თუ ვინ არის იგი. ჯემალი უპასუხებს, რომ ის ბაიგუშია, ყაზახების მენახირე და აქ იბრძვის დაბეჩავებული ბაიგუშების დასახსნელად და სასახელოდ.

ასეთ ოცნებას შეეპყრო პატარა ჯემალი, რომ ამ დროს ყარაშამ ცივად დაიყეფა. ჯემალი გამოერკვა.

მახლობელ ბუჩქნარში რაღაც შრიალი გაისმოდა.

— ჰეი, მანდ ვინ არის?—უცებ დაიძახა ვიღაცამ.

ჯემალი შეკრთა.

— მენახირე ვარ, ჯემალი,—უპასუხა შეშინებულმა ჯემალმა.

ბუჩქებიდან შრიალით დაიძრა შავი ჩრდილი და აჩქარებული ნაბიჯით ჯემალისაკენ გამოეშურა. ვარსკვლავების მკრთალ სინათლეზე ჯემალმა ძლივს გაარჩია მხარზეთოფგადაკიდებული კაცი, რომელიც მისგან რამოდენიმე ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა; მან ჯემალი მზვერავი თვალებით აათვალიერა და მერე შეეკითხა:

— შენ ილეკის გაღმა მხარიდანა ხარ?

— დიაღ, გაღმა მხარიდან...—უპასუხა ჯემალმა.

— ჰმ... კეთილი, შენ ახლა წამოხვალ ჩემთან,— ბრძანების კილოთი სთქვა უცნობმა.

ჯემალი დაიბნა.

— ბატონო, მე რა დავაშავე, მე საწყალი მენახირე ვარ, ცხვარს უპატრონოდ ვერ დავტოვებ,— ლუღლუღებდა გულამომჯდარი ჯემალი.

— ჩქარა, გამომყე... ახლა უკვე მკაცრი ხმით შესძახა უცნობმა.

ჯემალი კარგახანს იდგა გაქვავებულივით.

„ვინ უნდა იყოს ეს კაცი? რა უნდა ჩემგან?“— ფიქრობდა ჯემალი და ვერ გამორკვეულიყო.

— წავიდეთ... ჩქარა! — ისევ შეუყვირა უცნობმა.

ჯემალი დაემორჩილა.

უცნობი თავაღერილი მიაბიჯებდა ჩაბნელებულ ველზე და მას თითქმის სირბილით მისდევდა უკან პატარა ჯემალი.

მათ ჩქარა გადალახეს საძოვარი მინდვრები და როცა ტყეს მიადგენ, ჯემალი შეჩერდა.

— ძია, სად მივდივართ, მანდ ბნელა...—შეეკითხა დაეჭვებული ჯემალი უცნობს, რომელმაც ამ დროს ტყის ბილიკზე შეუხვია.

უცნობი მოტრიალდა, ჯემალი წინ აიდენა და მკაცრად უპასუხა:

— ეგ შენი საქმე არ არის, უფროსთან მივალთ და იქ გაიგებ...

დიდხანს მიდიოდენ ისინი დაბურულ ტყეში. ვარსკვლავების მკრთალი შუქი ხეების სქლად გადაბარდნილ შტოებში ვერ აღწევდა და ირგვლივ ძლიერ ბნელოდა.

მთიელი სტუმრათ მთიელ პიონერებთან (ტფილისში).

შორს, ტყის სიღრმეში უცებ ელვასავით გაანათა.

„აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს“ — გაიფიქრა თავისთვის ჯემალმა:

— ძია, იქ ვინ არიან?

— ჩვენებია, — დამშვიდებით სთქვა უცნობმა...

— ვინ ჩვენებია?

უცნობმა არ უპასუხა.

ისინი ჩქარი ნაბიჯებით მიეშურებოდენ იქით, საიდანაც სინათლე გამოკრთოდა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ჯემალმა ტყეში შეამჩნია აგუზგუზებული ცეცხლი. ცეცხლთან იჯდა მდიდრულად ჩაცმული ჭაღარა კაცი და გარს შემოხვეულ ოფიცრებს გაფაციცებული ესაუბრებოდა.

— ვინ მოდის?—გაისმა მკაფიოდ.

— მე ვარ, ილიკო,—უპასუხა უცნობმა და ცეცხლთახ შეჯგუფებულ ხალხს მიუახლოვდა. ყველანი ჯემალს დააცქერდენ.

— ვინ არის ეს ბალღი?—შეეკითხა ჭაღარა პოლკოვნიკი უცნობს.

— თქვენო კეთილშობილებავ, ეს იქაურია, ილეკის გაღმა მხარიდან,— უპასუხა უცნობმა და ჯემალი წინ წამოუყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ, ჰეი, წითლები ახლა იქ არიან? — უძილობისაგან დაბოხებული ხმით მიმართა ჯემალს პოლკოვნიკმა.

— არ ვიცი, ბატონო, — ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ უპასუხა ჯემალმა.

— როგორ თუ არ იცი? — და პოლკოვნიკმა ანთებული თვალები გადმოუბრიალა.

— არ ვიცი, ბატონო, წითლები მე იქ არ შემხვედრია, — ისევ იკრუჭა ჯემალმა.

— ჰა, შე პატარა არამზადავ, შენც წითლების მხარეზე ხარ? — შეჰყვირა პოლკოვნიკმა და მსუქანი ბალნიანი ხელი ცხვირში ამოჰკრა.

ჯემალი მოახტა ცხენს.

— არა, მე არ მინახავს... მე ობოლი ვარ.. მენახირე... — ლუღლუღებდა შეშინებული ჯემალი და თან უკან იხევდა.

დიდხანს აწვალებდენ გაჯიუტებულ ჯემალს, მაგრამ ჯემალი ერთსადაიმავეს იმეორებდა: „არ ვიცი, არ მინახავს“.

პოლკოვნიკი ჩაფიქრდა.

— საჭიროა დაუყოვნებლივ წითლებს თავს დავესხათ. სანამ მტრედისფრად ინათლებდეს, ჩვენ აქედან გავალთ, ღამის ორ საათზე. ახლა კი დაიშალეთ და ჯარი მოამზადეთ, — მიმართა მან ოფიცრებს და პაპიროსი ხარბად გააბოლა.

— გვესმის, თქვენო კეთილშობილებავ! — ერთხმად უპასუხეს ოფიცრებმა.

— ეს ბავში კი დატყვევებულია... ყური უგდე... არ გაიპაროს... უთხრა პოლკოვნიკმა ერთ თეთრგვარდიელს და ჯემალზე მიუთითა.

ჯემალმა თავი ჩაღუნა.

— მესმის, თქვენი კეთილშობილებავ! — უპასუხა თეთრგვარდიელმა.

ოფიცრობა დაიშალა, პოლკოვნიკიც წავიდა.

ცეცხლთან დარჩენ თეთრგვარდიელები და ჯემალი.

— შემიძლია წამოვწვე? — შეეკითხა ჯემალი თეთრგვარდიელს, რომელიც ჩაფერფლილ ცეცხლს მიჯდომოდა და მახორკას სქელ ქაღალდში გულმოდგინედ ხვევდა.

— შეგიძლია, — ხელის ჩაქნევით უპასუხა თეთრგვარდიელმა.

ჯემალმა თავისი თექა იქვე ხის ძირას გაშალა და ზედ წამოგორდა.

დიდხანს იწვა სულგანაწული ჯემალი, ღამის ყრუ დუმილში დიდხანს ესმოდა საკუთარი გულის ბაგაბუგი და თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა.

აგუზგუზებული ცეცხლი ნელ-ნელა მიილულა. ტყეში ისევ ჩამობნელდა.

თეთრგვარდიელი იქვე შორიახლო დასეირნობდა და უდარდელად ღიღინებდა... ხანდახან შორს ტყის სიღრმეში ელვასავით გაჭკრავდა რაღაც სინათლე და ისევ ჩაქრებოდა — ეს გალაშქრების მომლოდინე თეთრგვარდიელნი ეწეოდენ პაპიროსს...

მოქანცულ ჯემალს ტკბილად ჩაეძინა.

* * *

უცებ მძინარე ჯემალმა იგრძნო, რომ მას ფეხაკრეფით ვიღაც მიუახლოვდა და სახეზე ალერსიანად თბილი ხელი გადაუსვა.

ჯემალი შეკრთა, თვალები გამოახილა.

მას თავს დასდგომოდა ძალი ყარაშა, რომელიც თბილი ენით გაყინულ ხელებსა და ყურის ძირებს ულოკავდა.

— შენა ხარ, ყარაშ? — წასჩურჩულა ყარაშას ნახევრადგაღვიძებულმა ჯემალმა...

— ყარაშა ვარ, ყარაშა — და ყარაშამ დასტურის ნიშნად კუჭი რამდენიმეჯერ გააქნია.

ჯემალი წამოჯდა.

„არა, აქ დაყოვნება არ ივარგებს. წითლები ახლა გულის ძილში იქნებიან. თუ მოულოდნელად თავს დაეხსენ, უთუოდ დაამარცხებენ“ — ფიქრობდა ჯემალი და მზვერავი თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა.

თეთრგვარდიელი იქვე ჯემალის გვერდით ბალახზე წამოწოლილიყო. თავზე ფარაჯა წაეხურა და ტკბილად ხვრინავდა.

უცებ ტყეში მახლობლად ცხენის ფრუტუნი გაისმა. ჯემალმა ყურები სცქვიტა, თავში ეშმაკურმა აზრმა გაუელვა. „აი, აგერ ცხენიც ყოფილა დაბმული, შეიძლება კიდეც გავიჯირითოთ“ — გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეთაური მიუახლოვდა ჯემალს.

ფიქრა მან და ისევ დააყურა. მერე წამოდგა, გუშაგ თეთრგვარდიელს გვერდზე გადახედა და ფეხაკრეფით იქით გაეშურა, საიდანაც ცხენის ფრუტუნი მოისმოდა. უკან ბაჯბაჯით მიდევდა სულგანაბული ყარაშა.

მთვარეს შავი სქელი ღრუბლები ზლაზვნით გადაეცალა და ხეების გაბარდნილ შტოებში თეთრად ჩამოანათა. აი, ჯემალი ფუღუროიან მუხასთან ჩასაფრული სდგას და ცხენს დაყურსული მიჩერებია. ცხენმა, თითქო მტრის მოახლოვება იგრძნო, ჰიხვინს უმატა. კარგახანს იდგა სულშეგუბებული ჯემალი და ცხენს შორიდან უთვალთვალებდა; მერე ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, ხმელ კუნძზე მიბმული ბაწარი ახსნა და პატარა თითებით ცხენს ფაფარი გადაუვარცხნა. ცხენმაც მეგობრული ალერსიანი ხვიხვინით უპასუხა. ჯემალმა სადავეში გამოსწია. ცხენი დამორჩილდა.

უკან ცხენადევნებული ჯემალი ფეხაკრეფით მიდიოდა დაბურულ ტყეში. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო და ყოველი ფოთოლის გაშრიალებაზე ჯემალის გული შიშითა თრთოდა. — ყარაშ, ფრთხილად, — წაულაპარაკებდა ხოლმე თავხედ ყარაშას, რომელიც ბუჩქებში თავაღებული დაძვრებოდა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ მთვარით განათებულ მინდორზე მშვიდობიანად გამოვიდენ, მაგრამ ამ დროს ჯემალს ტყიდან რაღაც ჩოჩქოლი შემოესმა.

„ალბათ, გაიგეს და დამედევნენ“, — გაიფიქრა ჯემალმა, უბელო ცხენს მკვირცხლად მოახტა ზურგზე და ერთი ყირგიზულად შეჰკივლა. ცხენი ჯერ შეტორტმანდა, მერე ჭიხვინით ტყის ნაპირს უეცრად მოსწყდა და ხელისგულივით გადაშლილ ტრიალ მინდორზე დაოთხვილი გაეკრა. გაფრენილ ცხენს სირბილით მიჰყვებოდა ყარაშა. მან დიდხანს სდია ცხენოსან ჯემალს, მაგრამ ბოლოს მოიქანცა, ენაწაგდებული ბალახებში ჩაჯდა და ნაღვლიანად აწკმუტუნდა. აი, ჯემალი მთვარის სხივებზე თეთრად აელვარებულ ილეკს მიუახლოვდა, რომ ამ დროს ყურთან რაღაცამ ცივად გაუზუზუნა.

ჯემალი შეკრთა, უკან მოიხედა.

ტყის ნაპირიდან მისკენ დაკუმშული ცხენოსანი მოჰქროდა.

„გვიანღაა: ველარ დამეწევით“ — გაიფიქრა ჯემალმა და ცხენს ზურგზე გალურსული გაეკრა. ტყის ნაპირიდან სროლის ხმები მკაფიოდ გაისმოდა.

ჯემალმა უცებ ცხენის ბეჭებზე წითელი ლაქები შეამჩნია და მარჯვენა მხარში მწვავე ტკივილები იგრძნო.

— საძაგლები... დამჭრეს... აღმოხდა გულშეღონებულ ჯემალს და ორივე ხელით ცხენს ფაფარში ჩააფრინდა. „არა, წითლებამდე როგორმე უნდა მივაღწიო“ — მაინც ჯიუტობს პატარა ყირგიზი. ამასობაში ცხენმა აქაფებული ილეკი თქაფუნით გაარღვია და სოფლის შარაზე ჭიხვინით გაქროლა. ჯემალი კი სისხლიდან თანდათან იცლება, შეღონებული გული გამალებით უცემს, თვალებში უბნელდება.

— ჰეი, მანდ ვინ არის? — დაიძახა ვიღაცამ.

— მე ვარ... ჯემალი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილაპარაკა ჯემალმა და ულონო ხელებით ცხენს სადავეში მოსწია.

— საიდან მოდიხარ?

— მე... ტყიდან... თეთრები... აი იქ... და ჯემალმა ხელი ტყისაკენ გაიშვირა, მაგრამ უცებ შეტორტმანდა, თავი ცხენზე ველარ შეიმაგრა და ჩამოსავარდნად გადმოიხარა.

წითლების გუშაგმა ეს შეამჩნია, ჯემალს მოთენთილ სხეულზე ხელები შემოხვია და მწვანე მინდორზე დასვა.

— ვინ დაგჭრა? — ისევ ეკითხება წითელარმიელი ფერმიხდილ ჯემალს.

— თეთრებმა, აი, იქ...

— აქედან შორს არიან?

— არა, აგერ... ტყეში...

ძლივს გასაგონი ხმით ამოილაპარაკა ჯემალმა, უნდოდა კიდევ ბევრი რამე ეთქვა, მაგრამ ენა აღარ დაემორჩილა, თავი დაუბრუნდა და თვალები თავისთავად ნელ-ნელა მიეხუჭა.

— ბიჭუნავ, შენ აქ დარჩები, მე ახლავე მეთაურს შევატყობინებ და ჩქარა ისევ მოვალ, — უთხრა მას წითელარმიელმა, მერე იქვე გაშვებული ცხენი დაიჭირა. ზურგზე სწრაფად მოახტა და წითლების ბანაკისაკენ მოჰკურცხლა.

* * *

წევს ჯემალი სუფთად გაწყობილ ლოგინში და გაკვირვებული აქეთ-იქით იყურება. სადა ვარ? აქ რა მინდა? — სიცხისაგან გამშრალი ბაგეებით ბუტბუტებს პატარა ყირგიზი. ჯემალს სიზმარშიც არ ენახა ასეთი დიდი, თეთრად გაბრწყინვებული ოთახი.

უცებ კარები გაიღო და საავადმყოფოში წითლების მეთაური შემოვიდა. იგი წყნარი ნაბიჯებით მიუახლოვდა ჯემალის საწოლს და სახეზე მზრუნველი თვალებით დააცქერდა.

ჯემალი დააკვირდა, იცნო... მკრთალ ბაგეებზე სიხარულის ღიმილმა გაუთამაშა.

— ჯემალო, ჩემო პატარა გმირო!... აღმოხდა მეთაურს და ჯემალს ჯაგარივით სქელ თმაზე ალერსიანად ხელი გადაუსვა.

ჯემალს შერცხვა... გაწითლდა...

— ჯემალო, ჩემო სიამაყევ! — ისევ დაიწყო მეთაურმა — შენ თავდადებას უქმად არ ჩაუვლია: ჩვენ თეთრები ვძლიეთ. შენ ახლა კარგად ხარ, მალე მორჩები, პიონერების კოლექტივში ჩაგწერთ და კარგი მებრძოლი გახდები.

კიდევ ბევრ რამეს ელაპარაკა ჯემალს წითელი მეთაური. ქუჩიდან როინოდებისა და ავტომობილების ხმაური მოისმოდა.

— ეს სადა ვართ? — შეეკითხა ჯემალი მეთაურს.

— ეს ქალაქია... ცოტა ხანს კიდევ იწექი და მერე ყველაფერს ნახავ... ახლა კი მე წავალ და ისევ ჩქარა გინახულებ, — უთხრა ჯემალს მეთაურმა, მერე ერთხელ კიდევ მიუალერსა და საავადმყოფოს კარებისაკენ გაემართა.

— წითელრაზმელებს ჩემი სალამი გადაეცით! — მიძახა მას ჯემალმა...

მეთაურმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, შორიდან გაუღიმა და კარები გაიხურა.

წევს ჯემალი და თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებს.

იგი გრძნობს, რომ მისი ცხოვრება სრულიად გამოიცვალა, რომ ის აღარ იქნება აბუჩად ადგებული, მდიდარი ყაზახის მენახირე და მის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, ხანა დიადი ბრძოლებისა, მზის ცხოველმყოფელი სხივებით გაბრწყინვებული ხანა.

ჯემალს უხაროდა.

გარეთ მზე იყო, და მუსიკა ქუჩაში საამურად გუგუნებდა.

დ. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი მდინარის სათავეში

5. მოულოდნელ თოვლებში.

ღამე კვლავ წვიმა დაიწყო. ნისლები უარესად ჩამოწვა.

— თოვლი მოვა უეჭველად,-სთქვა ჩვენმა მასპინძელმა მეცხვარემ და ქოხში შემოიტანა არყის შეშა.

— ცხვარი აღარ გვყავს საწველი და შეშაც აღარ მოგვიტანია,—დაუმატა თან.

— როგორ, ღამ-ღამობით მაინც არ ანთებთ ცეცხლს?

— აბაი, — გაიკვირა, — ცეცხლი რათ გინდა! თუ საკლავია, მაშინ კიდევ ჰო, თორემ ისე ცეცხლი მეცხვარეს გააზარმაცებს...

და ვხედავ, მართლაც რომ არცერთი მათგანი ცეცხლს ახლო არ უდგება, თუ გვესაუბრებიან, შორიახლო სხედან. ზოგნი უკვე „კარში“ მოჩანან, ცხვრის ფარათა გარშემო. წამოისხეს თექა-ნაბადი და წაწვენ. წვიმა და თოვლჭყაპი ზედ დასდით, მაგრამ სძინავთ ტკბილად, ფხიზლად კი. ძაღლი გაეკიდება სიბნელეში რამეს,—წამოიხედავენ და ხმას მისცემენ, გასჭყივლებენ, დარწმუნდებიან, რომ ნადირი გადიკარგა და მშვიდობაა, და კვლავ მისდებენ თავს ქვაზე.

დილით ნახევრად სველი მეცხვარე აშლის ფარას, გუდაში ჩაყრის ქუმელს (ქუმელი დახალული და დაფქვილი პური ან ქერია; მარილი აქვს გემოზე. ესაა მეცხვარის საგზალი. გუდით დაიქვთ და როდესაც მოჰშივათ, წყაროს წყლით დაზელენ ბატკნის ტყავის პატარა გუდაში და შეექცევიან) და შეაფენს ცხვარს ქედებს და სერებს. წვიმა დასდის, სველდება, ქარი უბერავს სუსხიანი, მყინვარებიდან ჩამოჭრილი, ცივი, მაგრამ ის აუჩქარებლივ დაიხრება, აიღებს ქვას და უკან დარჩენილ ან აცდენილ ცხვარს ესვრის. საღამოზე ისევ იმ ტანსაცმელით წვება, ისევ დასდის წვიმა...

ცამ მოხსნა პირი და აღარ აპირებს გამოდარებას. გავეხვიეთ ნაბდებში და წავთვლიმეთ. მაგრამ ამაოდ: წყალი შეგვიდგა. შევსველდით და წამოვდექით ისევ. ნაბადმოსხმულნი მივეყრდენით ქვით ნაშენ ყორეს და ვუცდით გათენებას.

— მთები ჩამობერებულია, მესმის ხმა. წამოვდექ და ვხედავ, რომ მთებზე თოვლი კარგა ძირამდეა ჩამოსული. მთის წვერები თეთრად დაგვცქერიან მაღლიდან. აგერ **ბორბალო**[1]), აი ჭიუხიანი და მყინვარიანი **ნარუანა**, ამუგო და მათ უკან კი თებულო უნდა იყოს, პირიქით ალაზანი რომ იბადება.

— ახლა შეიძლება გამოიداროს... ამბობენ თუშები და თექა-ნაბადს იბერტყავენ. ფეხშიშველნი დადიან:

-- რაი ბედანაა, ქალამანი ისედაც სველია...

ცხვარი ზანტად შეეფინა ფერდოებს, ბღავის, ნამიან ბალახს ვერ სძოვს ხეირიანად. პატარა კოსტალეს ანკესები უჭირავს ხელში და მეუბნება: „ქალმახი დავიჭიროთ“. მეც გავმართე ანკესები, ტფილისიდან მქონდა წამოღებული. ვიცოდი, რომ თუშეთის მთებში ქალმახის ხევია. ჩავყევით მდინარეს მე და კოსტალე.

ცხრა წლის ბიჭია, მაგრამ ყოჩაღი, მთელი ზაფხული ცხვარშია, ალაზნის სათავეში. დიდხანს ვეწვალეთ, მაგრამ ქალმახი ვერ დავიჭირეთ, ძლივს გაუღიმა ბედმა კოსტალეს და მაჯის სიმსხო ქალმახი ამოჰყვა ანკესს...

— თქვენ არ იცით ანკესით თევზაობა, ტყვილად მიფრთხობთ ჩემ მოშინაურებულ თევზებს,— გამოგვეხმაურა ერთი მოხუცი თუში, რომელიც ფეხებდაკარწახებული მოჰყვებოდა წყალს. აბგა ქალმახით აქვს სავსე.—ამოდით ჩვენ ბინაზე, დაისვენეთ, თქვით რამ ამბავი,— მიგვიპატიჟა ქოხისკენ, რომელიც წყალგაღმა პატარა გორაკზე იყო.

მე გავყე, კოსტალე კი ისევ ანკესობდა. მივედით ბინაზე. აქ მილიციის საგუშაგოა. სამი ახალგაზრდა ბიჭი მოგვესალმა, მოხერხებული ადგილი მომთავაზეს. კუთხეში თოფები ალაგია, ჩხაზე ქალმახები ჰკიდია დამარილებული.

— აიღე ჩონგური, ბიჭავ, სთქვი რამ ახლა შენ... მიმართეს ერთ ახალგაზრდას, როცა საუბარი ოდნავ შენელდა.

შენიშვნა. დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 23.

[1]) გომეწრის ალაზნის სათავეებს, ბორბალოსა და ნარუანს შუა მოქცეულს, ალაზნის თავს ეტყვიან. ამ ადგილში საუკეთესო საძოვრებია და თუშის ცხვრის დიდი ნაწილიც ზაფხულში აქ ბალახობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამღერა ჩონგურზე, მეცხვარის ამბავს მღეროდა, შირაქში წასვლას, მთებში დაბრუნებას.

მზემ გამოანათა და გავყევ მდინარის ნაპირებს მკენარეთ შესაკრებად .. გაღმა მხარეს მინდა გავიდე, არ მიჭირდება, რადგან ამ ადგილებში კაი მანძილზე ეს „ალაზანი“ გავაკებული მიდის, მთებიც აქეთ-იქითაა გაწეული და ველები აქვთ საძირკვლად. გაველ გაღმა ნაპირს, მწვანე მოლითაა დაფარული. გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და მოლმა ძირს დაიწია ფეხქვეშ, ისე ადიოდ-დადიოდა, თითქოს რეზინიაო... ეს მთის ჭაობია. აქ მრავლადაა ისლი, ჭილი, ხავსი. ალაგ-ალაგ მოჩანს ყვითელი ბაია, მრავალძარღვაც... გავლიე ეს ჭაობი და სერის ძირს გავყევ. ვიწრო ხეობიდან გადმოჭქუხს შენაკადები, ვეებერთელა კლდეები ჩამოაქვთ ძირს, მრავალ მდინარის ნაპირისაკენ.

ალაზანი კი რადგან აქ წყნარად მიდის, ეს ჩამონატანი ლოდები ვერ მიაქვს ერთბაშად და რჩება ნაპირსვე. დროთა განმავლობაში ამ ლოდების პატარა გორაკნი ჩნდებიან... პირველად მოტიტვლებულნი, მაგრამ, აი, ზოგ მათგანზე ძლივს მივდივარ... მეტრის სიმაღლის ნარები მჩხვლეტენ და ადვილად არ მატარებენ.

მაღლიდან რომ ჩამოჰხედო ამ ხეობას, იტყვი, სად ჩამოდის შენაკადი და სად არა, თუნდ ნაკადულს ვერა ხედავდე. ეს გორაკნი ისე აჭკვრიან ნაპირებიდან მთის კალთებს, რომ ამჩნევ—ახალი წარმოშობილნი არიან...

ერთი შენაკადი სრულიად ადგილად გადავიარე, თოვლის ბოგირი იყო ჯერ დაუმდნარი. ავიხედე მაღლა და სერი მეტად დაქანებულია, ჩანს, ამ ციცაბო ფერდობის თოვლის უმეტესი ნაწილი ზამთარში აქ დაგროვილა.

ამ თვალიერებაში ვიყავ, როდესაც ვიგრძენ, რომ ფეხქვეშ თოვლი გამომეცალა და ძირს წავედი... თურმე აქ თოვლი მეტად შეთხელებულიყო, ვერ გაუძლო სიმძიმეს და ჩაინგრა. ნაკადი დიდი არ იყო, ვერ წამიღებდა. დავიღუნე, შევათვალიერე; გასვლა შეიძლება. მეც ფრთხილად გავყე გვირაბს. ნაკადული ფეხქვეშიდან მაცლის კენჭებს და ქვიშას. თოვლის გვირაბიდან წვეთები მეცემა. იგი, ჩანს, დნება... მალე გამოველ ისევ სინათლეზე და რადგან თითქმის მთლად სველი ვიყავ, გავწიე ბინისაკენ.

ბინაზე დარჩენილი მწყემსები საქმიანობაში არიან. აი, ერთნი თოკს, ბაწარს ჭგრეხენ, კალთაში თხის ბალანი აქვთ, და ერთი ატრიალებს და ჰშორდება მეორეს... ბალნიდან კი განუწყვეტლად ბაწარი ეგრიხება.

სტეფანე ბატკნის ტყავსა სპრის სწორი ხედავ ხედებად. ეს ქუდი იქნება. გადააკერა ერთმანეთს და ერთ საათში უკვე მზად იყო.

ზაქარიამ გადაიღო მათი სურათი და ორივე გავყევით სერს, მდინარის აღმა. აქ ტყე ვიწრო ზოლად გასდევს სერებს, ხშირად ოცი-ოცდაათი მეტრის სიგანეა, რის შემდეგაც წმინდა სუბალპები და ალპები იწყება.

ტყე ჩაგვრჩა და უმთავრესად არყი გვხვდება. ჩანს, მთიდან წამოსულ ზვავებს ხეირი არ დაუყრია, თითქმის ყოველი ძირი გადმოწეულია განზე, მორკალული...

ბევრია ტირიფი, ცირცელი, ძირს მიწაზე გართხმულია ჩვენი მთების განუყრელი თანამგზავრი დეკა, მასში კი ვხედავთ ხუნწს, ჟოლოს, კეწერას, მთის ხილს, რომელსაც ხშირად მოვუსხდებით და გემრიელად შევექცევით.

ტყე ხან მდინარის ნაპირამდე ჩამოდის და ხან მისი ნაპირიდან 100 მეტრით მაინცაა დაცილებული. კარგა მანძილით ავყევით ზევით. აქ, ეტყობა, უკვე საგრძნობ მაღლა ამოველით, რომ ტყეც გათავდა და გამოჩნდა მწვერვალები ბ ო რ ბ ა ლ ო, ნარუანი და თოვლიანი ორწოხები.

ეს ბორბალოს მთების ორწოხებია. აქაა ნასკვი, საიდანაც იწყება თუშეთის მთები თავის თოვლიანი მწვერვალებით, მყინვარებით, თუშეთს რომ ჩრდილოეთით საზღვრავს; ეს კავკასიონის გვერდის ქედია, იგი გადაჭიმულია ორ ულამაზეს მწვერვალს შორის: თ ე ბ ე ლ ო ს ა (4505 მეტ.) და **დიკლოს** მთის (4275 მეტ). მათ შორის ცამდე შეტყორცნილია **ჭეშოს** (4047 მეტ), **დანოს** და **კიჩუს** მთები. როგორც ხელოვნურად ნაკეთი, ისე შეერთებიან მოელვარე ლურჯ ცას. აქ, სადაც ბორბალოს უახლოვდება, ყინვარნი არ არიან ისე ბარაქიანი, როგორც დიკლოს მთების კალთაზე.

ეს ქედი თუშეთს დასავლეთის მხრიდან საზღვრავს და აღმოსავლეთით კი მთავარი კავკასიონი, რომელიც აქ ბორბალოს მთიდან საირმემდეა გადაჭიმული. ეს ორი ქედი შეჰხვედრია ურთიერთს აქ, ბორბალოს მთასთან, და მისასალმებლად, მოწინავე მახარობლად თითქოს ორი ლამაზი მწვერვალი გამოუგზავნიათ: ამუგო და ბორბალო. შემდეგ კი სამუდამოდ დაცილებიან ერთმანეთს.

ქვერდის ქედს ჯერ ჩრდილოეთისკენ უქნია პირი და მერე, თითქოს არ მოსწონებია არჩეული გზა, თებულოდან შემობრუნებულა და პირი აღმოსავლეთისაკენ უქნია, მხოლოდ მთავარ ქედს თანდათან სცილდება, თანდათან შორდება, ისევე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც მთავარი ქედიც სამხრეთისაკენაა გადმოხრილი. დასცილდენ ურთიერთს, მაგრამ თითქოს ეს დაცილება გასძნელებიათ და ერთმანეთის მოსაკითხად გაუგზავნიათ ტოტები — როგორც დიკლოს მთიდან სამხრეთისკენაა წამოსული მრავალი ტოტი, ისე მთავარი ქედიდანაც ჩრდილოეთისაკენ წასულა ასეთივე შვეული ტოტები (ქედები).

მარტო ამ ორი ქედის გვერდს ტოტებიც ეყოფოდა, რომ მთელი თუშეთი მთებით ამოვსებულიყო, მაგრამ ეს არ აკმარა ბუნებამ ამ მხარეს და მთელი თუშეთი გადაკვეთილია მაღალი ქედით, რომელსაც თუშები პირიქითის ქედს უძახიან. ამ ქედს ამშვენებს მწვერვალგანიერი **წიოს მთა**, წოვათას რომ დასცქერის ზევიდან განმარტოებული და დავიწყებული დარაჯივით. მისი სიმაღლე 300 მეტრზე მეტია. ეს ქედი ერთმანეთს აცილებს მ. **თუშეთის ალაზანს** (გომეწრის) და მ. **პირიქითის ალაზანს.** ქედი მიდის მთავარი ქედის გაყოლებით და მხოლოდ იქ, სადაც ერთდება თუშეთის სამი ალაზანი: პირიქითის, თუშეთის და გომეწრის, ისიც ჩამოიკვეთება.

აი, ახლაც მე და ზაქარია ამ პირიქითის კალთებზე დავდივართ, მის იქით მოსჩქეფს პირიქითის ალაზანი, ამუგოსა და თებულოს შორის რომ ჰკრეფს თავის ტოტებს, ლამაზ და მოელვარე პატარ-პატარა მყინვარებს შორის.

გარდა ამისა, წიოს მთის იქით ხომ პირიქითის თუშეთია, შეყუჟული პიტალო კლდეებზე, უკანასკნელი თემი ჩრდილოეთისკენ.

აი, ვდგავარ მქუხარე მდინარის ნაპირას და შევცქერი ბორბალოს ჩამოთოვლილ იწვერვალს. საკვირველი ნასკვია, სწორედ. აქედან იწყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიდი ნაწილი.

აღმოსავლეთით თუშეთი, დასავლეთით ხევსურეთი, ფშავეთი და ქისტეთი. ქისტეთი ჩრდილოეთის აკენაა გაჭრილი, ფშავეთი კი სამხრეთისაკენ და ხევსურეთი კი მთავარი კავკასიონის ორივე ფერდობზე შეხიზნულა.

ქედების მიერ შექმნილ ხეობებში მოექანებიან აქაფებული მდინარენი: ჩრდილოეთისკენ მიქცეულ-ფერდობებზე იბადები-ნ **მდ. არღუნი, ანდაკის** მოუსვენარი შენაკადთ, რომელიც პირიქით ხევსურეთზე მოდის არდოტისა და შატილიონის ხეობით, სადაც ხალხი **არდოსტის** და **შატილის** წყალს ეძახის. ესენი შატილის ქვემოთ ერთდებიან, სადაც მას არღუნი ეწოდება და მითხოს ხეობით მიჰქრის ჩრდილოეთისაკენ, არგუნის დასავლეთით კი გველის მთის (3881 მეტ.) და ეროლას თოვლებიდან გადმოჰქუხს ლამაზი მდ. **ასსა.**

სამხრეთ-დასავლეთით კი იბადება ჩვენი გიჟი არაგვი; ბორბალოს ფერდობებიდან ჩამოიღვრება ფშავის არაგვი და ცროლას და გველის მთას კი ხევსურეთის **არაგვი.** ეს ორივე ხევსურეთისა და ფშავეთის დასაწყისს, **ორწყალში,** ჩაეხვევა ერთმანეთს ნანატრი ძმებივით და მოჰქრიან ჟინვალამდე, სანამ ხევის არაგვს არ ჩაერთვიან. სამხრეთის ფერდობზე (ბორბალოსი) ჩამოდის ალაზანი. მისი შენაკადები ჩამოიღვრებიან ბორბალოზე, სამყურის წვერზე და მხევლის წვერზე ორ ნაკადად, ნიფლოვანის ხევად და სამყურის წყალად მოექანებიან პანკისის ხეობამდე, აქედან კი ერთდებიან და ნელი ტბორებით მობუტბუტობენ ალაზნის ველზე... ალვან ზევით, ბახტრიონთან, ერთვის ილტო, ქვემოთ კი სტორი, კეპანის მთებიდან ჩამომდინარე.

არაგვსა და ალაზანს შორის მოჰქუხს იორი, ფშავეთის მთავარი მდინარე. მასარის და ფუტკარაულის მწვერვალებზეა მისი სათავე...

და აქ თუშეთისაკენ კი მოჰქრიან თუშეთის ალაზნები, ხისოსთან რომ ერთდებიან და ყოისუს სახელით ესალმებიან კასპიის ზღვას.

რამდენიმეჯერ მზემ შემოგვაჭყიტა, ნისლებიც გადაჭყარა და დაგვანახვა თოვლიანი მწვერვალები, მაგრამ კვლავ ჩამოპირქუშდა და გამოვბრუნდით.

რამდენი სამუშაო! მთის ალპიური მდელო აქ მეტად ფართეა, ფართეა, რადგან თოვლის საზღვარი დაშორებულია, მაღლაა, კავკასიონის დასავლეთ ნაწილში კი წმინდა ალპები ასე მკვეთრად როდია გამოხატული, იქ სუბალპებსაც შედარებით ვიწრო ხაზი უჭირავთ... და, ვინ იცის, იქ რამდენი საინტეროსო და ძვირფასი მკენარეა დარჩენილი!.. თუმცა მასალა საკმარისად მოვაგროვეთ, ამას ვფიქრობთ, როდესაც ნაირ-ნაირ ყვავილს ვალაგებთ ბაღში.

გადავწყვიტეთ წავსულიყავით ქვევით, გომეწრისაკენ, და მეორე დღეს გავუდექით გზას.

მივდივართ ალაზნის ნაპირებით, ხან გალმა გავალთ და ხან გამოღმა. ცა ჩამოწმენდილია, ამინდს არა უშავს რა.

ალაზნის თავიდან მეშვიდე კილომეტრზე ავცდით ნაპირს, აქ ხეობა ფრიად შევიწროვდა და ავყეთ მთას, ეს მხევლის მთისა და სამყურის წვერის ქედის თუშეთის ალაზნისაკენ მოქცეული ფერდობებია. ავიარეთ უკვე აწერილი ტყე და სუბალპები. ჩვენს ძირს ალაზანი მოჰქუხს და მიექანება. გალმა სერები ციდან დაკიდულან. ერთ ასეთ სერზე მეცხვარის ბინაც ჩანს. მიკვირს, ამ უსიერზე როგორ ჩერდებიან, მაგრამ სად წავიდენ, როდესაც ახლომახლო ამაზე სწორი ადგილი არსად არის.

მაღლიდან დავცქერ მდინარეს და ვხედავ, რომ ერთ ადგილას შეტბორებულა, შემდგარა, შედედებულა და ტრიალებს.

— ზვავი ჩაწოლილა, მას დაუჭერია, — მეუბნევა გაბო. ხორხზე ავიდეთ და გამოჩნდება...

მართლა ავლიეთ ფერდი, მოვექეცით მის ხურგს ზევიდან და ვხედავ, რომ გალმა მთის ფერდი ჩამომეწყვილა, ამოუვსია კალაპოტი და შეუჩერებია მდინარე. მაგრამ მდინარეს მაინც თავისი გაუტანია და ზევიდან ზავთით გადაჰქუხს.

აგერ, ერთ ადგილს ალაზანს კალაპოტი უცვლია, ახალი გაუკეთებია, 150 მეტ. სიგრძე. ამის მნახველმა გაბომ სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე როგორც ამ მთებს და მდინარეთ ვუყურებ, წინათ მთები თბნაბარი ყოფილა, უხევებო. შემდეგ მდინარეებს დაუსერია და დაუღარიათ“...

მეტი რაღა მეთქვა მდინარეთა ეროზიულ მოქმედებაზე, მე და ზაქარიამ ერთმანეთს გადავხედეთ და, ჩანდა, ორივეს მოგვწონდა ჩვენი გამყოლის დაკვირვება...

— აი წოვათაც! — დასძახა გაბომ.

ჩვენს მარცხნივ, ალაზან გაღმა, მოჩანს შედარებით განიერი ხეობა წოვათა. ეს წოვა თუშების ძველი სადგომი ადგილებია, აქ ცხოვრობდენ წინათ, ახლა კი დასტოვეს და ბარად ჩამოვიდენ, ზაფხულობით ტბათანაზე ამოდიან მხოლოდ. მოჩანს სოფლები, მთის ორწოხებში შეყუჟულნი: აგერ **საგირთა, ეთელტა, ინდურთა, მოზართა, წარო.** ამ სოფლებს ზედ დაცქერის ჰიუხიანი გრძელი მწვერვალი **წიო**, თოვლებით ჩამოთეთრებული. ქვის სახლები დგანან ისევ, სახურავებიც აქვთ... მაგრამ იქ ალარავინაა .. გზააბნეული ნადირი თუ შეაფარებს თავს, ღამღამობით ბუნი თუ-ღა გაჰკივიან....

გავცქერ ს. დაკიურთას, მთებში შეყუჟულს, რომელსაც გარს პატარა მინდვრები არტყია.

თითქოს ნაბადიც გადაეფარება თითოს, ისეთი პატარანი არიან. ბილიკმა ხნულს გაუარა გვერდით. უკვე დაუთესიათ, ჯეჯილი ამოსულა კიდეც.

— ეს სვილია (ჭვავი), ადრე ითესება, — განმარტა გაბომ...

გაღმა კი ვხედავ, რომ ჯერ ყანები გაჭრილა და უკვე დაუთესიათ სამემრისოდ.

ქერი ჯერ ისევ მწვანეა, შემოვა თუ არა, არ ვიცი: აი, თოვლი მოდის კიდეც და როდისღა მოესწრება!

შებინდდა, როდესაც სოფელში შევედით, **ვეძათ ხევში.** აი, თითქმის სოფლის პირში მოჩანს წარეხალი. ეს ხომ სუბალპების მცენარეა. ვიხედები ირგვლივ და მართლაც სოფელს სუბალპების მდელო და ტყე აკრავს.

— ბინა გვინდა სადმე, — ეუბნევა გაბრიელი შემოგებებულ თუშს, ჩალმელს.

— განა ეს სოფელი ბინა არ არის? — მობრძანდით, მოხადეთ ცხენებს ბარგი...

და თვითონვე დაიწყო ბარგის მოხდა, მას სხვანი მოეშველენ. ბარგი აივანზე აიტანეს, რადგან სახლი ორსართულიანი იყო, და შეგვიწყიეს სახლში.

— აქ კი წვიმა არ ჩამოგვივა, — ვთქვით, როდესაც დიდ ოთახში მოვექეცით, რომელსაც სამი მხრით ტახტები ჰქონდა შემოვლებული.

ტახტის ერთ ბოლოს რამოდენიმე ხელი სუფთა ლოგინი მოჩანს ქეჩაგადაფარებული... ტახტზე ფარდაგი და ქეჩა, პატარა ქილებში ყვავილის თაიგულიც. ზოგი გამხმარა, მაგრამ ფერი არ აქვს დაკარგული.

ეს ჩალმელი თუშის სასტუმრო ოთახია.

ნ. კეცხოველი.



პიონერები სწავლობენ დურგლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რას ლაპარაკობს ს. ს. რ. პ-ს შესახებ ინგლისის გავშთა დელეგაცია.

„იუშარ“ ის გემია, რომელსაც სამი თვის წინათ მიჰყავდა ინგლისში უპარტიო მგზავრები—ბავშები. ხიკსმა გადაწყვიტა ჯერ კიდევ არ მიექცია ყურადღება მათი მოსვლისათვის.

ჩამოსული ბავშები პირდაპირ გემიდან შევიდენ ქალაქის სათათბიროში „ბესნალ გარინ“-ში მიტინგზე. ბავშებმა უამბეს დამსწრეთ იმის შესახებ, თუ რა ნახეს მათ საბჭოთა კავშირში. ნენსი ხოლ ლაპარაკობდა სკოლების შესახებ. ნენსი ახლაც განცვიფრებულია, რომ **„რუსულ სკოლებში მასწავლებლები ტკბილად ესაუბრებიან მოწაფეებს, არ უყვირიან და კიდეც ულიმიან“**. ჯიმი მილერი მოჰყვა, თუ რა ზომებს იღებს **საბჭოთა ხელისუფლება უპატრონო ბავშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის**, ნორმან პეიტონმა კი განაცხადა: მხოლოდ **რევოლუციის შემდეგ გვექნება ჩვენ ისეთივე ბანაკები, როგორიც რუსი მუშების ბავშებს აქვთ.** ამ ბანაკებში ბავშების ჯანმრთელობას თვალყური ადევნებენ ექიმებიო.

კლიფორტ რობერტმა ილაპარაკა იმ პირობების შესახებ, **რომლებშიც უხდებათ ცხოვრება და მუშაობა** რუს მემაღაროელ მუშებს; მან დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგნაირად: „**რომ წახვიდეთ საბჭოთა რუსეთში, არასოდეს არ მოისურვებთ იქიდან წამოსვლას**“. ედი ტერნერი ლაპარაკობდა **რუსეთის პიონერთა ორგანიზაციის** შესახებ, **რუსი პიონერების** საზოგადოებრივ-სასარგებლო **მუშაობის** შესახებ და შესახებ იმისა, თუ როგორ აქტიურად აგროვებენ ფულს, რომ შექმნან ფონდი აეროპლანებისთვის „პასუხი ჩემბერლენს“. მან ილაპარაკა აგრეთვე **რუსეთის** მუშების ბავშების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

ვილი ბეკერი მოუყვა აუდიტორიას ბავშთა მოედნების და ჭლექით დაავადებულ ბავშთათვის სანატორიუმების შესახებ, **რომლებიც** მათ ნახეს ლენინგრადში; სთქვა აგრეთვე სკოლებთან არსებული კლუბების შესახებ. ვილიმ განაცხადა:

„ინგლისის მუშები უნდა დაეხმარონ რუს მუშებს მათ ბრძოლაში მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების წინააღმდეგ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, თუ როგორ გვეხმარებოდენ ჩვენ რუსები 1926 წელს; თუ თქვენ არ დაეხმარებით რუს მუშებს და გულგრილად უყურებთ იმას, თუ როგორ უნდა დაესხან მათ თავზე, მაშინ თქვენ ამხანაგები კი არ იქნებით, არამედ მშიშრები“.

მათი სიტყვა მთელი დარბაზის განუწყვეტელმა ტაშმა დაჰფარა.

ბავშებო! არ დაგავიწყდესთ „პიონერის“ გამოწერა 1928 წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება.

ღარიხევის პიონერები.

(შორაპნის მაზრა)

რვა თვეა, რაც ღარიხევში პიონერთა კოლექტივი დაარსდა. ამ ორგანიზაციაში ირიცხება 50 პიონერი და 15 ოქტომბრელი.

პიონერები დახმარებას უწევენ გლეხობას სასოფლო გზის შეკეთების დროს.

პიონერების მიერ გამორკვეულ იქნა, თუ როგორია სოფლის მცხოვრებთა შემოსავალი წლის განმავლობაში. აგრეთვე იქნა შედგენილი მცხოვრებთა რიცხვის სტატისტიკა. გამოდის პიონერთა გაზეთი „პიონერის ნაბიჯი", რომელშიაც ხუთი განყოფილებაა. მონაწილეობას იღებენ პიონერები სხვადასხვა წერილების გამოშვებაში.

მოწყობილ იქნა გაფრენები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მეურნეობის მცოდნე მასწავლებელი.

წარმოებს შრომითი აღზრდა: პიონერები აკეთებენ სხვადასხვა იარაღებს, როგორიცაა მაგ.: მაგრატელი, ნაჯახი, თოხი და სხვა ასეთები.

დ. კამკამიძე.

ხარაგოულის ბ. კ ო.

(შორაპნის მაზრა)

დაბ. ხარაგოულის რაისაბჭოს მუშაკ. სამდივნოსთან დაარსდა 1925 წელს ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის I კოლექტივი. დღიდან დაარსებისა ამ ორგანიზაციას აქვს შემდეგი მიხწევები:

გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი, რომელსაც „პიონერთა ხმა" ერქვა და დღეს კი „პიონერთა საყვირი" ჰქვიან; გამოშვებულია 38 ნომერი. პიონერები ყოველთვიურად იწერენ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს".

კოლექტივის სახელით იწერენ ჟურნალ „პიონერს", 2 ცალს. ბ. კ. ო. აწვდის მომზადებულ პიონერებს ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციას.

მახლობელ ორგანიზაციებთან ცოცხალი კავშირია დაჭერილი, სადაც ჩანს პიონერების დაახლოვება ერთმანეთთან. ისინი ეცნობიან ერთმანეთის ორგანიზაციების მიხწევასა და ნაკლს.

პიონერების მიერ მოწყობილია წითელი კუთხე, სადაც არის პოლიტიკური წიგნები და პიონერთა ლიტერატურა.

ჩამოყალიბებულია ოქტომბრელთა ჯგუფი; მათ შორის არის ვაჟი 10, ქალი კი 15, სულ 25 ბავში.

პიონერები მონაწილეობას იღებენ გზისა და ხიდების შეკეთებაში. იცავენ სისუფთავეს სასწავლებელში. პიონერები სასწავლებელში განირჩევიან უპარტიო ბავშვებისაგან დისციპლინისა და სწავლის მხრივ; პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასწავლებლის ბაღის გაწმენდა-შემოღობვაში.

ეჩვევიან თვითმოქმედებითს მუშაობას (თვით გააკეთეს ურემი, თოხი, ბარი, ხერხი, ნაჯახი, ნამგალი, წილდი, ჩაქუჩი, ვარსკვლავი, კალათი, ფიწალი, ორთითი, ორთქლმავალი და სხვა), აგრეთვე ხატავენ სვხადასხვა რევოლუციონური ბელადების სურათებს და გოგონები კი კერავენ და ქსოვენ სხვადასხვა ტანსაცმელს.

ორგანიზაციაში ამჟამად ირიცხება 78 წევრი, მათ შორის პიონერი არის 40, ოქტომბრელი 25, პიონერ-კომკავშირელი კი 13.

ა. ბუაჩიძე.

ფარცხნალის კოლექტივი

(შორაპნის მაზრა)

წელიწადნახევარია, რაც სოფ. ფარცხნალში პიონერთა ორგანიზაცია არსებობს. სულ კოლექტივში ირიცხება 50 პიონერი და 30 ოქტომბრელი. პიონერებმა შემორაგვეს სკოლის ეზო. იქ დავრგეთ სხვადასხვა მცენარე.

პიონერები აგრეთვე ეხმარებიან სოფელში ქვრივობლებს და ღარიბებს ყანების მარგვლაში, თოხნაში და სხვა სამეურნეო საქმიანობაში.

გამოდის პიონერთა გაზეთი „სიმართლის გზა", რომელშიც მთავარ მონაწილეობას იღებენ პიკორები. სულ გამოსულია 33 ნომერი.

ჩამოყალიბებულია დრამატიული წრე, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში 12-ჯერ ჩაატარა წარმოდგენა, რომელსაც ესწრებოდენ პიონერთა მშობლები და მრავალი სოფლის ახალგაზრდობა.

მოწყობილი იყო რევოლუციონური დღესასწაულების დროს ლიტერატურული დილები.

მოწყობილი იყო ხუთი ექსკურსია. დათვალიერებულ იქნა ქარხნები და ციხის ნანგრევები, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია პიონერებში. ისინი გამოსთქვამდენ სურვილს, რომ მომავალშიც მოეწყოს ასეთი ექსკურსია.

დაარსებულია პიონერთა კუთხე, სადაც გამოფენილია პიონერთა კოლექტივის მიერ გაკეთებული მოდელები: ჩაქუჩი, ნამგალი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ორთქლმავალი, ურემი, უღელი, კავი, პატარა მაგიდები და სკამები, აგრეთვე მარქსის, ლენინის და სხვა რევოლუციონერი მოწინავე ბელადების სურათები.

გათვალისწინებულია პიონერთა კოლექტივის მიერ, რომ მომავლისათვის სკოლის ეზოში დაიმუნას ხეხილი და გაკეთდეს ბოსტანი.

მჭიდრო კავშირი არსებობს პიონერთა კოლექტივსა და ადგილობრივი კომკავშირის უჯრედს შორის.

ლ. ხეცურიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა წავიკითხოთ?

„პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება“.

ეს წიგნაკი მეტად საინტერესოა და დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ბავშვებს. ავტორი ამ მოთხრობაში მარტივი ენით გვაცნობს პირველყოფილი და ახლანდელი ველურების ყოფა-ცხოვრებას. ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: პირველყოფილი ადამიანის ნადირობა, სხვადასხვა ხერხი ნადირობისა, სანადირო იარაღები, ომი, მათი საომარი იარაღები, ველურების თემური ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულება, როგორ მარხავენ ველურები მკვდარს, ახლანდელი ველურების თევზზე ნადირობა, სწავლა-მეცნიერების დასაბამი, როგორ ესმით მათ წელიწადის ოთხი დრო და სხვ.

ეს წიგნაკი დიდად დაეხმარება სკოლებს და ბავშვებს, მხატვრული მოთხრობის სახით შეასწავლის პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრებას. წიგნი ძალიან კარგად არის გამოცემული, სუფთა ქაღალდზეა და ბევრი სურათიც აქვს ჩართული. წიგნაკი ღირს 30 კაპეიკი.

„როგორ ამოძრავდა პირველი მატარებელი“.

ეს პატარა მოთხრობა ძალიან საინტერესოა და დიდი სიამოვნებით წაიკითხავენ ბავშვები. ის გვაცნობს პირველი მატარებლის ამბავს და მისი გამომგონებელის, გეორგი სტეფენსონის, ბიოგრაფიას. ამ პატარა წიგნაკის მოკლე შინაარსი ასეთია: გეორგ სტეფენსონი, მაღაროს ღარიბი მუშის შვილი, სხვასთან არის მწყემსად. ამ მწყემსობის დროს გეორგი პატარა რუზე აკეთებს სათამაშო წისქვილს, მაგრამ ის ნამდვილ წისქვილს ჰგავს. მნახველებს ყველას უკვირს. პატარა გეორგი თავის ამხანაგი ტომის დახმარებით აკეთებს მანქანას, რომელიც მთლად ჰგავს მაღაროების მანქანას. მთელი სოფელი მოდის სანახავად. 14 წლის გეორგი უკვე მაღაროში მუშაობს. მას მისცეს საკუთარი მანქანა, რამაც გეორგისადმი მუშებში მტრული განწყობილება გამოიწვია. გეორგი რწმუნდება, რომ მიზნის მისახწევად მისთვის სწავლაა საჭირო. ამისათვის მან შეისწავლა ფეხსაცმელების კერვა: ამითი ოჯახსაც ეხმარებოდა, თვითონაც მეცადინეობდა და მიახწია კიდეც თავის მიზანს: გააკეთა მატარებელი, რომელიც საათში 14 ვერსს გადიოდა და შემდეგ კი 40 ვერსს. შემდგომ უფრო დახელოვნდა და ცნობილი კაცი გახდა. მას ბევრი შეკვეთა მოსდიოდა.

წიგნს მშვენიერი მხატვრული ყდა აქვს, სუფთა ქაღალდზეა გამოცემული, დაწერილია ადვილი, გასაგები ენით.

ეს წიგნაკი დიდ დახმარებას გაუწევს სკოლას და ყოველ ბავშს. წიგნი ღირს 13 კაპეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო-სურათების გადაღება სარკის საშვალებით.

კინოში, რასაკვირველია, ყველა ყოფილა და ყველას უნახავს მთები, ზღვები, დიდებული სასახლეები, ციხე დარბაზები. უთუოდ ბევრს უფიქრია, თუ რა აუარებელი ფული ჯდება ამნაირი კინო-სეანსების დადგმა.



სურ. 1.

დიაღ, დიდი ფული იხარჯება ძვირფას დეკორაციებზე, არა ნაკლები ჯდება სხვადასხვა ექსპედიცია; მაგალითად, თუ მოქმედება წარმოებს მდინარე განგესის ნაპირას, უნდა გაემგზავროთ სურათის გადასაღებად ინდოეთში. თუ საჭიროა კინო-დრამის გათამაშება უდაბნოში, უნდა წახვიდე საჰარაში.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთი სურათი ჯდება 5-6 მილიონი დოლარი [1]).

დიდი ხანია, რაც კინო-მოღვაწენი ცდილობდენ როგორმე გაეიაფებიათ სურათების გადაღება.

ბევრჯერ მოსვლიათ ფიქრად შეეცვალათ ძვირფასი დეკორაციები და ნატურიდან გადაღებული სურათები დეკორაციების მოდელით, ან უბრალო ფოტოგრაფიული სურათებით, მაგრამ სწორედ აქ იყო ერთი სიძნელე, რომლის დაძლევაზე ამ ბოლო დრომდის თითქოს ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

კინო-სურათში, როგორც ვიცით, მოქმედობს ხალხი, დადიან ავტომობილები, მატარებლები, გემები. სურათზე ყველა ესენი გამოდიან რა სიდიდისანიც არიან, მაშასადამე, დეკორაცია შესაფერი ზომის უნდა იყოს და არც პატარა მოდელს და არც ფოტოგრაფიულ სურათს არ შეეძლო მისი მაგიერობა გაეწია.

მაგრამ გერმანელი ინჟინერის შიუფტანის ახალმა გამოგონებამ სძლია ყოველნაირი დაბრკოლება.

ეს გამოგონება ერთობ უბრალოა.

[1]) 1 ინგლისური დოლარი უდრის ერთ ჩერვონეცს, ამერიკული კი 2 მანეთს.

ავიღოთ უბრალო სარკე. ყველამ იცის, როგორ კეთდება სარკე. შუშაზე აკრავენ გამდნარ ვერცხლის წყალსა და კალას. გამდნარს და შეზავებულ კალას და ვერცხლის წყალს ჰქვიან ამალგამა. თუ სარკეს მოფხეკ ამალგამას, ამოფხეკილი ადგილი გამჭვირვალე იქნება.

ჩამოვფხიკოთ ამალგამა სარკის ქვემო ნაწილს და დავდგათ კინემატოგრაფული აპარატის წინ და შევუდგეთ სურათის გადაღებას. რა გამოვა? ცხადია, ფოტოგრაფიის ნაწილში გამოისახება ის, რაც ჩანს გამჭვირვალე შუშის ქვემო ნაწილში და ფოტოგრაფიის ზემო ნაწილში ის, რაც ისახება ამალგამიან სარკეში. უბრალოა შიუფტანის გამოგონება.

აი, სწორედ ასეთ ქვემო ნაწილ გაფხეკილ სარკეს სდგამენ კინოაპარატის წინ. სარკის უკან გაჩაღებულია მოქმედება, დარბიან ავტომობილები, ეტლები, თამაშობენ კინო არტისტები, თამაშობენ, რასაკვირველია, დეკორაციის ფონზე. მაგრამ დეკორაცია გამოსახავს სწორედ ქვემო ნაწილს სახლისას, ტყისას, დარბაზის და სხვ. ზემო ნაწილის გამოსახვისათვის კი აპარატის უკან სდგამენ პატარა მოდელს, რომელიც ისახება სარკეში. ფოტოგრაფიაში ორივე ნაწილი ერთდება—ქვემო ნაწილი, რომელიც გაფხეკილ სარკეში ჩანს, და ისიც, რაც სარკის ზემო ნაწილში ისახება. დახედეთ სურ. 1 და თქვენთვის ცხადი იქნება, როგორ ხდება ეს. არტისტები დეკორაციული სვეტების წინ თამაშობენ. აპარატის უკან, ცოტათი გვერდზე, დგას პატარა მოდელი, რომელიც ისახება სარკეში და ჰქმნის ნამდვილ ილუზიას.



სურ. 2.

აბა, შეხედეთ, მე—2 სურათზე ვეებერთელა შენობას. უზარმაზარი სვეტებიანი შენობაა, ავტომობილები, ამასთან შედარებით, ერთი ციცქნებია და ნამდვილად კი შენობის მხოლოდ ქვემო ნაწილია ადამიანის სიმაღლეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა მეტი, დანარჩენი კი ერთმეტრიანი მოდელია შიუფტანის სარკეში გამოსახული.

კიდევ უფრო საკვირველია მე-3 სურათი: ეკრანზე გამოსახულია ალპების სანახაობა. უზარმაზარი მთები, ღრმა უფსკრულები, ვეებერთელა ფიჭვები. ნამდვილად კი პაწაწა ქოხი არის ნამდვილი სიდიდის აგებული და დეკორაციის სულ ქვემო ნაწილი, დანარჩენი კი პატარა მოდელია. ადვილად გამოიხატება იგივე ალპების სანახაობა ზამთარში. ორი-სამი ფუთი მარილია საჭირო, რომ მოაყარო ქოხს და ირგვლივ ადგილებს და რამოდენიმე გირვანქა კი მთების მწვერვალებს და ხეებს—ზამთარი მზად არის.

შიუფტანის გამოგონება ძალზე აიაფებს კინო-გადაღებას და ძალიანაც გავრცელებულია ამერიკისა და გერმანიის კინო-ფაბრიკებში.

შიუფტანის სარკის საშვალებით გადაღებულია გერმანული დიდი სურათი „ფაუსტი", და „მეტროპოლის", რომლებიც დიდებული სანახაობით „ნიბელუნგებს" არ ჩამოუარდება. ჩვენ ჩქარა ვნახავთ ამ სურათებს ჩვენ საქართველოში—და მაშინ შეგვეძლება სავსებით დავრწმუნ-

სურ. 3

დეთ, თუ რა შეუძლია მისცეს კაცობრიობას ადამიანის გონების გამჭრიახობამ და ტეხნიკურმა ცოდნამ.

ჭადრაკი.

მძიმე და მსუბუქი ფიგურები. ფიგურები (გარდა მეფისა) ორ ნაწილად განიყოფება: მძიმე და მსუბუქ ფიგურებად. მძიმე ფიგურებია ლაზიერი და ეტლი, მსუბუქი—კუ და მხედარი. მოძრაობისა და მოკვლის უნარიანობის მხრივ, როგორც ვხედავთ, ყველაზე ძლიერი ფიგურა ლაზიერია. ლაზიერს მოსდევს ეტლი; უფრო სუსტ ფიგურებს წარმოადგენენ კუ და მხედარი. ფიგურებში ყველაზე სუსტი მეფეა. დანარჩენი ფიგურების დანიშნულებაც ის არის, რომ მეფე დაიცვან თავდასხმა - იერიშისაგან. პაიკიც ფრიად სუსტი კოჭია, ხოლო მისი სისუსტე სიმრავლით ნაზღაურდება. პაიკის ღირსება კიდევ ის არის, რომ, როგორც ვთქვით, იგი შეიძლება ფიგურადაც იქცეს.



დიაგრამა № 1.

კოჭების შედარებითი ღირებულება. როგორც ვნახეთ, კოჭები განსხვავდებიან თავისი ღირსებისა და ძლიერების მიხედვით. ამიტომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მათ შედარებით ღირებულებაზე. რასაკვირველია, ჩვენ აქ ფიგურების აბსოლუტურ ღირებულებაზე ვერ ვილაპარაკებთ. ამას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ექნება; პრაქტიკაში ხშირად ნაკლები ღირებულების კოჭი ამა თუ იმ კონკრეტ პირობებში უფრო დიდ ძალას წარმოადგენს, ვიდრე თეორიულად მეტი ღირებულების კოჭი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კოჭების ღირებულება იცვლება იმისდა მიხედვითაც, თუ თამაში რა სტადიაში იმყოფება. მაგალითად, თამაშის დასაწყისში ყველაზე სუსტი კოჭი პაიკია, მაგრამ ბოლოს შეიძლება პაიკი უფრო ძლიერ კოჭად იქცეს, ვიდრე მხედარი, კუ ანდა ეტლი, ვინაიდან იგი შეიძლება ლაზიერად იქცეს. ასევეა მხედრისა და კუს თანამიმართებაც: თუკი თამაშის დასაწყისში ეს ორი ფიგურა დაახლოვებით თანაბარი ღირებულებისანი არიან, შუა თამაშში და განსაკუთრებით ბოლოში კუ აშკარად სჭარბობს მხედარს. ეტლი თამაშის დასაწყისში, ვიდრე სათამაშო არე მრავალი კოჭით არის დახაფრული, სუსტ ფიგურას წარმოადგენს და ზოგჯერ ჩამოუვარდება კუსა და მხედარს, ხოლო შუაში და განსაკუთრებით კი ბოლოში დაუფასებელი ფიგურაა. მეფეც თამაშის დასაწყისში და შუაში ნაკლები ღირებულების ძალას წარმოადგენს, ხოლო თამაშის ბოლოს აქტიურ მონაწილეობას იღებს.

მაშასადამე, როდესაც ფიგურების შედარებით ღირებულებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ თეორიულად ვმსჯელობთ და ვიღებთ მხოლოდ დაახლოვებით ვარაუდს, ისიც თამაშის შუა სტადიასთან შეფარდებით.

ციფრებით რომ გამოვხატოთ კოჭების ღირებულება და ძირითად ერთეულად პაიკი ავიღოთ, შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

პაიკი	=	1.
მხედარი	=	3.
კუ	=	3.
ეტლი	=	5.
ლაზიერი	=	10.

ზოგი თეორეტიკოსი უარყოფს კუსა და მხედრის თანაბრობას და ამტკიცებს, კუ დაახლოებით $^1/_2$ პაიკით უფრო ძლიერიაო. ზემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით ეტლი=კუს+2 პაიკი=მხედარს+2 პაიკი, ხოლო ლაზიერი=სამ მსუბუქ ფიგურას+1 პაიკი=2 ეტლს. ბოლოდროინდელი გამოკვლევა უფრო ზედმიწევნით არკვევს კოჭების ღირებულებას. ამ ღირებულების გამოსარკვევად ხმარობენ ორ ფაქტორს—ფიგურის მოძრაობის და იერიშის, თავდასხმის უნარიანობას. ამის მიხედვით შემდეგი ცხრილა გამოჰყავთ:

პაიკი	=	1
მხედარი	=	$2^1/_2$
კუ	=	3
ეტლი	=	$4^2/_3$
ლაზიერი	=	8

ამრიგად გამოდის, რომ ორი ეტლი ლაზიერზე უფრო ძლიერია, კუ და ორი პაიკი ცოტა ძლიერია ეტლზე, მხედარი და ორი პაიკი ეთანაბრება ეტლს; ლაზიერი=ორ მხედარს+1 კუ; აგრეთვე=2 კუს+2 პაიკი; მეფის მოძრაობის და დარტყმის უნარიანობა თამაშის ბოლოში 3 პაიკს უდრის.

როქი. ერთ პარტიაში ორივე მხარეს მხოლოდ ერთხელ შეუძლია გააკეთოს ეგრეთწოდებული **როქი.** როქი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ერთ ეტლს (თუკი მეფესა და ეტლს შუა თავისუფალი ადგილია) მიუსვამენ მეფეს გვერდში, ხოლო მეფეს გადაახტუნებენ ეტლზე და დასვამენ ეტლის მეზობელ უჯრაზე ჰორიზონტალური მიმართულებით (იხ. დიაგრ. № 1): ეტლს დასვამენ f1-ზე და შემდეგ მეფეს ეტლის გვერდით g1-ზე. როქის გაკეთება შეიძლება როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ a1 ეტლთან; პირველს ეწოდება **მოკლე როქი**, ხოლო მეორეს **გრძელი**, რადგანაც e1-დან h1-მდე უფრო მოკლე მანძილია (სამი უჯრაა), ვიდრე a1-მდე (ოთხი უჯრაა). როქის გაკეთებას დრო არ აქვს განსაზღვრული; ეს მოთამაშის სურვილზეა დამოკიდებული, როდის დაინახავს როქს ხელსაყრელად; მაგრამ არის პირობები, როდესაც როქის უფლებას ჰკარგავს მოთამაშე. აი ეს პირობები:



დიაგრამა № 2.

1. თუ მეფე პარტიის განმავლობაში დაძრულ იქნა თავისი ადგილიდან, მოთამაშეს ამ ხელზე სულ მთლად ეკარგება როქის უფლება, თუნდაც მეფე შემდეგ ისევ თავის უჯრაზე დაჯდეს.

2. თუ ერთ-ერთი ეტლი დაიძრა თავისი ადგილიდან, მოთამაშეს უფლება ეკარგება იმ ეტლთან გააკეთოს როქი. მაგალითად, თუ ეტლი h1 დაძრულ იქნა ადგილიდან, მეფეს ეკარგება მოკლე როქი, სამაგიეროდ შეუძლია გააკეთოს გრძელი როქი (a1-თან).

3. თუ ორივე ეტლი დაძრულ იქნა ადგილიდან, მოთამაშეს იმ ხელზე მთლად ეკარგება როქის უფლება.

4. როქის გაკეთება არ შეიძლება იმ მომენტში, როდესაც მეფეს ქიშს უცხადებენ. მაგრამ ქიშგამოცხადებულ მეფეს, თუკი იგი ადგილიდან არ იქნა დაძრული, როქი არ ეკარგება.



დიაგრამა № 3.

5. თუ მეფესა და ეტლს შუა იმყოფება ფიგურა ან ფიგურები, როქის გაკეთება იმ ეტლთან არ შეიძლება.

6. თუ როქის დროს მეფემ ის უჯრა უნდა გაიაროს, რომელსაც მოპირდაპირის კოჭი ემუქრება, როქი არ შეიძლება.

7. თუ როქის გაკეთების შემდეგ მეფე იმ უჯრაზე დგება, რომელსაც მოპირდაპირის ფიგურა ემუქრება, როქი არ შეიძლება (იხ. დიაგრ. № 2).

მაგალითად, ამ შემთხვევაში არ შეიძლება არც მოკლე და არც გრძელი როქი, ვინაიდან იმ ორივე უჯრას, სადაც მეფე დაჯდება, მოპირდაპირის ფიგურები ემუქრებიან: g1-ს ეტლი და c 1-ს ლაზიერი.

როდესაც სვლაზე ვლაპარაკობდით, ვთქვით, რომ ერთი სვლა მხოლოდ ერთი ფიგურით შეიძლება, მაგრამ იქვე დავძინეთ, რომ ამ საერთო წესიდან გამონაკლისი არსებობს. აი, ამ გამონაკლისს შეადგენს როქი, რომელშიაც მონაწილეობს ორი ფიგურა—მეფე და ეტლი. როქი უფრო ხშირად დებიუტის ბოლოში ან შუა თამაშის პირველ სტადიაში ხდება ხოლმე და მიზნად ისახავს: 1) უფრო უშიშარ, უხიფათო ადგილას დააყენოს მეფე და ააცდინოს იგი მოწინააღმდეგის იერიშებს; 2) მოპირდაპირის გეგმები ჩაფუშოს და იძულებული გახადოს იგი ფიგურები გადააჯგუფოს ახალ მდგომარეობასთან შეფარდებით და 3) ბრძოლაში ჩააბას ერთი ძლიერი ფიგურა-ოაგანი—ეტლი, რომელიც მანამდე უმოქმედოდ იმყოფებოდა მარქაფში.

იერიში და მოგერიება. როდესაც კოჭის სვლით მოპირდაპირის კოჭს მოკვლას ემუქრებით, ამას იერიში ანუ თავდასხმა ეწოდება. მოპირდაპირე მხარე ამ თავდასხმას ან მოგერიებით, დაცვით უპასუხებს, ანდა თავის მხრივ გადადის შეტევაზე. რა თქმა უნდა, თუ იერიშის საპასუხო სვლა დაცვასაც შეიცავს და თავდასხმასაც, ეს საუკეთესოა. (იხ. დიაგრ. № 3).

მაგ. თამაში დაიწყო ასე: 1. e2—e4; e7—e5; 2. d2—d4; d7—d5. ამ მდგომარეობაში თეთრი პაიკი d4 ემუქრება შავ პაიკს e5-ს, ხოლო თეთრი პაიკი e4 მეორე პაიკს d5-ს. თავის მხრივ შავი პაიკებიც ემუქრებიან თეთრებს (e5—d4-ს და d5—e4-ს). გარდა ამისა, პაიკები d4 და d5 დაცულნი არიან თავ-თავისი ლაზიერებით. თამაში შეიძლება ასე გაგრძელდეს: მხედარი b1—c3. ამით იგი დაემუქრა პაიკს d5-ს, რომელსაც ემუქრება აგრეთვე პაიკი e4 და ამავე დროს დაიცვა ეს უკანასკნელიც. თუ შავებმა ახლა მოსაგერიებელი სვლა არ გააკეთეს, დაჭკა-

ოგავენ პაიკს (e4: d5; ლაზიერი d8 ველაო მოჭკლავს ამას, რადგანაც იცავს მხედარი c3; თუ შავებმა ამაზე უპასუხეს: e5: d4, მაშინ თეთრები ლაზიერით იღებენ d4-ს და ზედმეტად ერთი პაიკი შერჩებათ); ამიტომ ისინი თამაშობენ: ან c7—c6, ან მხედარი g8—f6, ან კუ c8—e6, ან მხედარი b8—c6. რომელი სვლა სჯობია, ამის განხილვაში არ შევდიგართ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, თუ რომელი სვლით შეიძლება უშუალოდ დაიფაროს ხიფათში მყოფი პაიკი d5 ანდა სამაგიეროდ იერიში მოიტანოს.

ქიში. როგორც საერთო და ძირითადი წესი, უნდა გვახსოვდეს, რომ მეფე ხელუხლებელია. თამაშის მთელი ფოკუსი მეფის ირგვლივაა თავმოყრილი; თუ რუკაზე მეფე არ იმყოფება, ისე თამაში შეუძლებელია. მოთამაშეს უფლება აქვს რომელი ფიგურაც უნდა დასტოვოს მუქარის ქვეშ, ანდა მოსაკლავად დაუყენოს, მაგრამ მეფის დატოვება იერიშ ქვეშ შეუძლებელია; ასევე—შეიძლება ესა თუ ის ფიგურა გასწიროს რაიმე მოსაზრებით; ან მოხერხებული პოზიციის დასაჭერად, ან კომბინაციის გეგმის შესასრულებლად და სხვა, მაგრამ მეფის გაწირვა შეუძლებელია; ამიტომ, როდესაც მეფეს ემუქრებიან ამა თუ იმ კოჭით, წინდაწინ აკრთხილებენ სიტყვით: **ქიშ.** მეფეზე შეტევა ქიშის გამოცხადებაა (იხ. დიაგრ. № 4) ამ დიაგრამაზე შავ მეფეს თეთრებმა შეიძლება სხვადასხვა ფიგურით სხვადასხვა ადგილიდან უქიშონ. ლაზიერით: e2 : e8, e2—c4, e2—a6, e2—e6, e2—g4; ეტლით: f6—c6; კუთი c2—f5; მხედრით g6—e7: შავებს შეუძლიათ თეთრ მეფეს გამოუცხადონ: ლაზიერით: a4 : c2, a4—a1; a4—d4; a4—d7; ეტლით a5—d5, h4—h1, h4—d4 და სხვა.

იმ მხარეს, რომელსაც ქიშს უცხადებენ, სხვადასხვა საშუალებით შეუძლია დაიფაროს თავი: ან მოჭკლას ის ფიგურა, რომლითაც ქიშს უცხადებენ, ან მეფეს და ქიშის გამომცხადებელ ფიგურას შუა რომელიმე კოჭი დააყენოს, ანდა მოაორიდოს მეფე იმ უჯრას, რომელიც მუქარის ქვეშ იმყოფება. ავიღოთ ქიშის სხვადასხვა შემთხვევა და ვნახოთ, თუ როგორ იცავს მეფე თავს (იხ. დიაგრ. № 5). ამ მდგომარეობაში თეთრებს სხვადასხვა მხრიდან შეუძლიათ გამოუცხადონ ქიში, მაგრამ შავებს სამაგიეროდ საშუალება აქვთ სხვადასხვა ლონით დაიცვან თავი. მაგალითად, ლაზიერი უცხადებს ქიშს f1—d1. შავებს შეუძლიათ ეს ქიში მოიგერიონ ან ლაზიერის მოკვლით b3 : d1, ან ფიგურების მოფარებით: e6—d7; e6—d5; f8—d6; b6—d7, ანდა შეუძლიათ მეფე გადასვან სხვა რომელიმე უხიფათო უჯრაზე. თუ თეთრებმა ეტლით გამოუცხადეს ქიში a5—d5, მაშინ შავებს შეუძლიათ იგი მოჭკლან ან b3 : d5, ან e6 : d5, ან b6 : d5. თუ ეტლი სხვა მხრიდან გამოუცხადებს ქიშს a5—a8, შავებს შეუძლიათ დაიცვან ან მოკვლით b6 : a8, ანდა, თუ მოკლა რაიმე მოსაზრებით ხელსაყრელი არაა, მეფესა და ეტლს შუა დასვამენ დარს b6—c8, ანდა მეფეს სხვა უჯრაზე გადასვამენ. თუ ქიში გამოეცხადა კუთი f4—g5, შეიძლება ან მოერიდოს მეფე, ანდა მეფესა და კუს შუა ან მხედარი დაჯდეს g8—e7), ან კუ (f8—e7); თუ იმავ კუმ სხვა მხრიდან გამოუცხადა—(f4 : c7), მეფეს შეუძლია მოჭკლას იგი, ან მოერიდოს.



დიაგრამა № 5.

ქიში თავისი ხასიათის მიხედვით სხვადასხვახაირია. როგორც ზემოთ ვნახეთ, შეიძლება მეფეს ქიში გამოეცხადოს ერთი ფიგურით შორი შანძილიდან, ეს არის **უბრალო, მარტივი ქიში**; მაგრამ შეიძლება ქიში გამოეცხადოს მეფის გვერდითა უჯრაზე დაჯდომით; მაშინ მეფემ, თუ ეს კოჭი დაფარული არაა, უნდა მოჭკლას, ანდა, თუ სხვა კოჭითაა დაფარული, შემტევ ფიგურას აუცილებლად უნდა მოერიდოს (იხ. დიაგრ. № 6). მაგალითად, ლაზიერი უცხადებს ქიშს b3—f7; ლაზიერი დაფარული რომ არ იყოს კუთი a2, მეფეს მისი მოკვლა შეუძლია, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებლად სხვა უჯრაზე უნდა დაჯდეს, ვინაიდან ლაზიერი ვერც მეფით კვდება, ვერც სხვა კოჭით და ვერც სხვა ფიგურები ეფარება (როგორ მოეფარება, როცა ლაზიერი კოჭაში უზის!) ასევეა პაიკის ქიშის დროს—პაიკი ან უნდა მოიკლას, ანდა მეფე მოერიდოს: d6—d7 პაიკი არაა დაფარული, შეიძლება მოიკლას ანდა, თუ სხვა ანგარიში აქვს მოთამაშეს, მეფე უნდა მოარიდოს.

მაგრამ არის კიდევ **გახსნილი ქიში**; ეს იმ შემთხვევაში ხდება ხოლმე, როდესაც ქიშს უცხადებენ არა იმ ფიგურით, რომლითაც ქიშის გამოცხადების დროს თამაშობენ, არამედ ამ ფიგურის უკან მდგომი კოჭით. მაგალითად (იხ. დიაგრ. № 7), ჩვენ რომ მხედარი e2 სხვა რომელიმე უჯრაზე გადავსვათ (e2—c3) ეს იქნება გახსნილი ქიში, ვინაიდან ქიში ეცხადება მეფეს არა მხედრით, არამედ მის უკან მდგარი ეტლით (e1). ასეთივე იქნება ქიში, თუ მხედარს g8-ს h6-ზე დავსვამთ; მაშინ ქიში ეცხადება მეორე ეტლით; მაგრამ თუ მხედარი დავსვით f6-ზე, ეს იქნება გახსნილ ქიშთან ერთად **ორმაგი ქიშიც**, ვინაიდან მეფეს ემუქრება ორი ფიგურა: ეტლი h8 და მხედარი f6; ასეთ შემთხვევაში მეფემ აუცილებლად უნდა გამოიცვალოს ადგილი; ასევე უნდა მოიქცეს მეფე, როდესაც ქიში მხედრით ეცხადება და ეს უკანასკნელი ვერა კვდება რომელიმე კოჭით. არის კიდევ ერთნაირი ქიში, რომელსაც **მუდმივი ქიში** ეწოდება და რომლის შესახებაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.



დიაგრამა № 6.



დიაგრამა № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეროვნული წმენდის, ორგანიზაციის ეროვნული კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გაშსირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი—23—16

რედაქტორი—**სარედაქციო კოლეგია.**

ტფილისი—19/XII—27. ს.ს.ბ.ფ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 2221. შეკვ. № 369/3681. ტირაჟი 1000.